# დროება

№ 131 სამშაბათი, 16 ივნისი 1909 წ. № 131

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხამჯერადი განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამდე 4 საათამდე ღირს 3 მან.. ეთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება ... დღე, კვირა-უქმეების გარდა ... დღიდან 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისში გარედ ღირს 1 მან., ხოლო ხხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 13 თიბათვეს

**ფარნაოზ სტეფანეს ძე ისარლოვი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები: **ეკატერინე სტეფანეს ასული კანდინოვისა და ანნა სტეფანეს ასული ისარლოვი**; ძმისწულები: პოლკოვნიკი გვარდიისა **იოსებ ლუკას ძე ისარლოვი, ლევან და ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძენი ისარლოვები.**

პანაშვიდი 16 თიბათვეს, სალამოს 7 საათზე. გამოსვენება ცხედრისა 17 თიბათვეს, დილის 10 საათზე (ბინიდან: მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩების კუთხე, სახლი კარგანოვისა, № 28), რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვა სოლოლაკის სასაფლაოზე. (2—601—1)

---

სამშაბათს, 16 ივნისს,

**ეკატერინე ავეტიქის ასულის ფრიდონოვის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ნორაშენის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები **გრიგოლ და მნაცაკან იაგორის ძენი ფრიდონოვები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—298—2)

---

**ექიმი** ქირურგი **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ფლეგის ქუჩა N 25 (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხაღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მოვანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მესკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ბარონის, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

1. **გ. ფოლდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
2. **დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
3. **ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
4. **მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
5. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
6. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
7. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
8. **ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

1. **გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
2. **გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—85)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აჯტალის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**მუშტაიძის ყიდულობენ** აბრეშუმის ნედლ პარკს. ვ. ა. ზეილდ ეცითან. (3—2)

## ქუთაისში

1 ივლისიდან გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი:

### „ვარსკვლავი"

გაზეთის ფასი იანვრამდე—3 მან., ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები თვით რედაქციაში, ქვირილა—მოლაპანში—ხორფილე მელაძესთან; ხადგურ მესიაში—უფასოდ სამკითხველოში. საჭიროა ქალა-ქალაქებში ხაიმედო აგენტები. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, редакція „ВАРСКВЛАВИ", Балахванская ул. N 5, во дворѣ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე: Кутаисъ, редакція „Варсквлави" Виссаріону Сопромовичу Чибурдаnидзе. (5—ფ.—4)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ, და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი** – ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღ. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—49)

**ექიმი ვ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—102)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. ზუდევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6— საათ. ვერა, ყარლანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ს. 88)


## იარმუკა

დ ბა ახალ-სენაკს პეტრე-პავლობის შვიდი დღის იარმუკაზე, რომელიც იწყება 23 ამა ივნისიდან, სხვათა შორის გაიმართება ვაჭრობა სოფლის ხორაგეულისა და პირუტყვთა და აგრეთვე ცალკე დანიშნულ ადგილზე — კარვებში — ფართლის და სხვა ხორაგობათა, ხოლო 29 ივნისს მოხდება ცხენების მარულა შვიდი ვერსის მანძილზე. პრიზები დანიშნულია: პირველისათვის—ორმოც-და-ათი მანეთი (50 მ.), მეორისათვის—ოც-და-თხუთმეტი მანეთი (35 მ.) და მესამისათვის—ოც-და-ხუთი მანეთი (25 მ.) მთელი იარმუკის განმავლობაში დაუკრავს მუსიკა.

(2—ფ-1) დეპუტ. **მელიტონ ოდიშარია.**

---

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—5)

---

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საააკარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—5)

---

**საცხენისის პირველ-დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი**

(ყვარელი, თელავის მ.)

აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ პანსიონში 31 ვაკანსიაა ამიერ-კავკასიელ ღარიბ აზნაურების და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის, ბავშვები, 8—10 წლისანი, მიიღებიან ხაზინის სრულ ხარჯზე, 8—10 წლისანი.

თხოვნები პანსიონში მიღების შესახებ უნდა წარედგინოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. თხოვნასთან უნდა იყოს: 1. მეტრიკული მოწმობა დაბადების შესახებ; 2. მოწმობა თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსი ჩამომავლობის შესახებ; 3. მოწმობა ექიმისა ყვავილის აცრის შესახებ. (3—6.—1)

---

## მორში

იძლევა იჯარით ორი ნაჭერი მიწისა, აქედან სახნავი 27 დესეტინა, სანახირო ჯაგნარი—11 დესეტინამდე და მოუვლელი ბაღი საჯინიბოთი 3 დესეტინა.

პირობების გაგება შეიძლება ძ. ზუბალაშვილების კანტორაში, გოლოვინის პრ., № 8. (3—300—1)

## ტფილისი, 16 ივნისი

სახ. საბჭოს სესსიაც დაიხურა და რუსეთის ზედა პალატის წევრნი დასასვენებლად დაიშალნენ 10 ოქტომბრამდე.

მთელ გასულ სესსიის განმავლობაში ჩვენს გაზეთში ერთხელაც არ შევჩერებულვართ იმის მუშაობაზე, რადგან ყურადღების ღირსი იქ არა მომხდარა რა. ჯერ სახ. საბჭოს როლი მეტად მკრთალია, ჯერ მას საბუთი არა აქვს, თავისი ბრჭყალები გამოაჩინოს. სანამ სახ. სათათბირო მთავრობის მორჩილი დაწესებულება იქნება, სანამ განახლებისათვის მუშაობა გადადებული ექნება მომავლისათვის, მანამდის საბჭოს არხეინად შეუძლიან იძინოს და სძინავს კიდეც. მხოლოდ დრო გამოშვებით ამცნობს ქვეყანას, მზადა ვარ პირველ სერიოზულ შემთხვევისთანავე შევმუსრო ყოველივე, რაც წინანდელ კანონების და წესების გაუქმებას განიზრახავსო,—რასაკვირველია ისეთ კანონებისა და წესებისა, რომელნიც ძველის რეჟიმის ძირითად რეფორმას მოასწავებენ. ჯერ ასეთი განზრახვა, როგორც ვიცით, სათათბიროს არ გამოუჩენია და ამიტომ სახ. საბჭოს მოღვაწეობაც უფერულად და უსიცოცხლოდ მიმდინარეობს.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ზედა პალატა სათათბიროს დადგენილებათ არ დაეთანხმა და შემათანხმებელ კომისიათა არჩევა შეიქმნა საჭირო, მაგრამ შეთანხმება ადვილად მოხდარა, რადგან, ვიმეორებთ, ჯერ სერიოზული პრინციპიალური საბუთი ქვედა პალატას არც-კი მიუცია საბჭოსათვის. ხოლო რა ხასიათის იქნება საბჭოს ოპოზიცია, ეს თავის თავადაც ცხადია და იმ მაგალითიდანაც სჩანს, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულ უკანასკნელ დღეებში: საბჭოს უმრავლესობა ენერგიულად წინაალუდგა სათათბიროს მიერ დამტკიცებულს პროექტს სარატოვში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. უნივერსიტეტი სარატოვში გაიხსნება, რადგან ეს მთავრობის სურვილიცაა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ისაა, რომ საბჭოს ასეთი საქმეც მიაჩნია საშიშად და მეტ ბარგად რუსეთისათვის. ან კიდევ ავიღოთ საბჭოს მიერ საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენება. ზედა პალატას მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ საკუთარი საკანონმდებლო თაოსნობის უფლებაცა აქვს მინიჭებული, როცა არსებულ კანონ-უფლების შეზღუდვა დასჭირდა —არა უფლების გასაფართოვებლად, არამედ სხვის შესავიწროებლად მიჰმართა საკუთარ ინიციატივას. ასე მოიქცა, როცა ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთის გუბერნიათა წარმომადგენლების არჩევნების ვადა დადგა. საბჭოში ამ გუბერნიებიდან სულ პოლონელები არიანო და რუსის თავ.-აზნაურობა ამ გუბერნიებში დაიჩაგრაო. საბჭო არ დაერიდა საარჩევნო კანონის შეცვლას და შეთხზა პროექტი 3 ივნისის აქტის გასამეორებლად მხოლოდ იმისთვის, რომ ორიოდე პოლონელი მემამულე, ზომიერი და კონსერვატორი პოლონელი მემამულე, გამოერიცხა საბჭოდან და მათ ალაგას რუს მემამულეთა რიცხვი გაემრავლებინა.

აღარ შევჩერდებით დაწვრილებით საბჭოს მუშაობის დაფასებაზე განვლილ სესიის განმავლობაში: ნათქვამიც და მოყვანილი ორიოდე მაგალითიც გვიჩვენებენ ამ მუშაობის ღირსება-მნიშვნელობას. ვიტყვით კიდევ, რომ საბჭოს ირ დასცალდა ამ სესსიაშივე თავისი უკანასკნელი სიტყვა ეთქვა ქვედა პალატის უმთავრეს აქტის გამო. როგორც ვიცით, სათათბირომ უკანასკნელ დღეებში მიიღო ღირსშესანიშნავი კანონები სარწმუნოების თავისუფლების შესახებ. ამ მხრით იგი რადიკალურად შეეხო ძველი რეჟიმის ერთ-ერთ ბნელ მხარეს და თვალსაჩინო რეფორმა განიზრახა. სწორედ ამ აქტის გამო მთელი რუსეთი, მთელი პრესსა დარწმუნებულია, რომ საბჭო თავის ბრჭყალებს გამოიჩენს. ყველა დაბეჯითებით ამბობს, რომ საბჭო ამ კაკონებს არ შეიწყნარებს და სათათბიროს ერთად-ერთი ჯერ-ჯერობით მთავარი კეთილი საქმე დამსხვრეულ იქნებაო.

მართლაც ეს ასე მოხდება იქ, სადაც უმრავლესობას ხელმძღვანელობენ დურნოვო, პიხნო, შტიურმერი, ნეიდგარტი და სხვა ამისთანა ბურჯები ძველის რეჟიმისა! სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა საკმარისად უზრუნველ ჰყოფს ძველის სიმაგრეების დაცვის საქმეს. არც ხსენებული კანონები სარწმუნოების შესახებ, არც მსგავსი კანონები, რომელთაც კავშირი ექნებათ 17 ოქტომბრისა და 17 აპრილის დაპირებათა განხორციელების საქმესთან, მზის სინათლეს ვერ იხილავენ საბჭოს უეჭველ ურჩობის გამო და დღევანდელი, მესამე ივნისის სათათბიროს შემადგენლობაც თავდებია იმისა, რომ ზედა პალატის ასეთ ურჩობას მაინცა და მაინც თავგამოდებით არავინ შეებრძოლება...

---


**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—170)

---

**„ტფილისის სობრანიე"**

ოთხშაბათს, 17 ივნისს, ბ-ნთ წევრ ია და კანდიდატთა ბავშვებისათვის, ე. გ. სალამბეკოვის ზედამხედველობით, სალამოს 6—7 საათზე, გაიმართება

### საბავშვო საღამო

ფასი 10 კაპ. სალამოზე დაუკრავს ორკესტრი. სთხოვენ იმათ; ვინც ბავშვებს ახლდებიან, წარადგინონ კონტრომარკები. ბილეთები იყიდება „სობრანიეს" შვეიცართან. (2—297—3)

---

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა"

1. ილია ჭავჭავაძის **კრიტიკული წერილები** ფასი 25 კაპ.
2. ილია ჭავჭავაძის **ცხოვრება და კანონი** ფასი 25 კაპ.

იბეჭდება მისივე „პოლემიკური წერილები" (კატკოვის პასუხად, პოლემიკა იანოვსკისთან და სხ.).

მზადდება დასაბეჭდად „აი ისტორია" და სხ. (5—2)


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი

**ოსმალეთი**

**სალონიკი.** იპეკის მახლობლად მდებარე ერთმა სოფელმა გადასახადების შეტანაზე უარი განაცხადა. ამას გარდა ეს სოფელი კანონიერად არა სცნობს ახლანდელ მთავრობას. სოფლის დასასჯელად გაიგზავნა რაზმი. რაზმს ათ კაცზე ერთი კაცი უნდა დაესაჯა. ალბანელებმა რაზმს სროლა აუტეხეს. 12 ივნისს ჯევადფაშა და იპეკის მუტესარიფი დიდის ჯარით რაზმის მისაშველებლად წავიდნენ. 13 ივნისს ჯევად-ფაშამ ზარბაზნები დაუშინა სოფელს.

**სტამბოლი.** ფინანსთა მინისტრი რიფაათ-ფაშა სამსახურიდან გადადგა. მიზეზი—დიდ-ვეზირთან უთანხმოებაა. ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ჯავიდ-ბეი, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წევრი და დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

15 დეპუტატი პალატის ვიცე-პრეზიდენტის თალაატის, ექიმ რიზათევფიკის და არაბთა მეთაურის ბოსტანის მეთაურობით ლონდონსა და პარიზში მიდის.

**სალონიკი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ადგილობრივ ადმინისტრაციას დეპეშით უბრძანა, სალონიკის ვილაეტში საალყე წესები შემოიღოთ.

**სალონიკი.** მოვიდა ოფიციალური ცნობა, რომ 10 ივლისს სალონიკში სულთან მაჰმედ მეხუთე მოვაო. ამ დღეს ერთი წელიწადი სრულდება, რაც ოსმალეთში კონსტიტუცია შემოიღეს.

**სპარსეთი**

**ლონდონი.** „ტაიმს" დეპეშით ატყობინებენ: თეირანიდან და ისპაჰანიდან იუწყებიან, რომ ბახტიარების მეორე რაზმი ჩრდილოეთისაკენ წასასვლელად ემზადებაო. ამ რიგად, შეიარაღებულია 2000 კაცი რამდენიმე ზარბაზნით. ლიახოვი შაჰის დასაცველად დიდ მზადებაშიაო.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენა.** „კორესპონდენტ - ბიურო" სოფიიდან ატყობინებენ: 12 ივნისს ბოლგარიის მთავრობა და აღმოსავლეთ რკინის გზების გამგეობა საბოლოოდ მორიგდნენ. ბოლგარიის მთავრობა აღმოსავლეთის რკინის გზის გამგეობას ინვენტარისთვის მისცემს 2,1000,000 ფრანკს, რკინის გზის ექსპლოატაციის გამო შემოსულ ხარჯის ასანაზღაურებლად დაუბრუნებს ვაგონებსა და ორთქლმავლებს. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობა აღმოსავლეთის რკინის გზების გამგეობას 21,500,000 ფრანკს მისცემს.

**სტოკჰოლმი.** 13 ივნისი. ქალაქი მორთულია. ელიან რუსეთის ხელმწიფეს.

**სტოკჰოლმი.** დილა-ადრიანად მახლობლად „შტანდარტზე" იყვნენ შვეციის მეფე-დედოფალი და მეფის ოჯახობა. მეფეს თან ახლდა გარეშე საქმეთა მინისტრი და სხვა წარჩინებულნი. ნაშუადღევის 3 საათსა და 55 წუთზე ლაგერლ-სტრანდში მოვიდნენ შვეციის მხლებელნი, 3 საათსა და 20 წუთზე აქვე მოვიდა მეფის ოჯახობა. $3^1/_2$ საათზე მოვიდნენ რუსეთის მეფე-დედოფალი და შვეციის მეფე. მასპინძლის შემდეგ რუსეთის მეფე მტრედით სამეფო სასახლეში გაემგზავრა, სადაც საღამოს 7 საათზე გაიმართა სადილი.

**ვენა.** ზედა პალატა. პალატამ განიხილა ბერნრეიტერის წინადადება. ბერნრეიტერმა წინადადება შეიტანა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინაში შესაფერი მმართველობა დამყარდეს და კრედიტები გახსნილ იქმნასო. ავსტრია, რომელმაც 60 წლის წინად გადააგდო ბატონყმობა, ეხლა ამავე საქმეს ბოსნიაში სახელმწიფო დაწესებულებას კი არ ანდობს, არამედ ბანკს, რომელიც $10^0/_0$ გადასახადებს და არა $5^0/_0$, როგორც წესდებაშია ნათქვამიო. ორატორმა აღნიშნა, რომ ბოსნიას ავტონომია სურსო. დასასრულ, ბერნრეიტერმა განაცხადა, ბოსნიის საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, როგორც ინგლისმა ეგვიპტეს საქმე მოაწყოო. ზედა-პალატა ბერნრეიტერის წინადადებას კარგად შეხვდა და კომისიას გადასცა.

**რიო-დე-ჟანეირო.** გაიფიცნენ გაზის ქარხნების მუშები. უკვე ორი დღეა, რაც ქალაქი უგანათოდ არის.

**ბერლინი.** 13 ივნისს აუდიენციის დროს გერმანიის კანცლერმა ბიულოვმა იმპერატორს სთხოვა, ხემი თანამდებობიდან განმათავისუფლეთო. იმპერატორმა არ შეიწყნარა ბიულოვის თხოვნა. იმპერატორმა სთქვა, რომ, კოალიციური მთავრობების აზრით, საფინანსო რეფორმების საჩქაროდ განხორციელება საჭიროა გერმანიის კეთილდღეობისთვისაო.

**მარსელი.** გერძი გემების მატროსების გაფიცვა გათავდა.

**სტოკჰოლმი.** 14 ივნისს, ნაშუადღევს, შვედეთის მეფემ მოჰყვა მოხსენებით არტილერიის ყურისი კაპიტანი ბეკმანი. მეფემ სამეფო ბაღში მოხდა. გენერალ ბეკმანთან იყვნენ სხვა დიდი სამხედრო პირები. შემდეგ მოვიდნენ ბეკმანის ზურგში ქალთა გუნდი, იქვე თავი მოიკლა.

**კელნი.** გერმანული პრესსა განაგრძობს შინაურ მდგომარეობაზე მსჯელობას. სხვა და სხვა მიმართულების გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ბიულოვის გადადგომა მომავალში აუცილებელია. ლიბერალურ პრესსის აზრით, გუშინდელმა ცნობამ საკმაოდ გამოარკვია საქმის მდგომარეობა. კონსერვატიულ პრესსას გაუგებრად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბიულოვმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. რა იყო მიზეზი, რომ მარტო ბიულოვმა ითხოვა სამსახურიდან გადადგომა. „ნ. გესტფალიშე-ცაიტუნგი" აქებს ბიულოვს, კერძო ინტერესები დაივიწყა და სახელმწიფოს კეთილდღეობას ყველაფერი შესწირაო.

## რ უ ს ე თ ი

**მარიუპოლი.** ტაგანროგის ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა 1905 წელს მომხდარ ებრაელთა აწიოკების საქმისა. სამართალში მიცემულია 82 კაცი. დაზარალებული და მოწმე 609, მომჩივანი 72 კაცია. ჰფიქრობენ, რომ საქმის გარჩევა ორ კვირას გასტანს.

**კერჩი.** პოლიცმეისტრად ნამყოფი გრიზევი სისხლის სამართალში მისცეს.

**ვარშავა.** 12 ივნისს, როდესაც გუბერნიის ჟანდარმთა უფროსი გენერალი სიტინი თავის ქალით კელცში ბრუნდებოდა, ვიღაც უცნობებმა სროლა აუტეხეს. გენერალი სიტინი მკერდში დასჭრეს, ხოლო მისი ქალი მოჰკლეს.

**კურსკი.** კურსკის ბირჟამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია ბანკის დირექტორი დინინი.

**კრონშტადტი.** ხოლერით ავად გახდა მენახშირე. მენახშირე პეტერბურგიდან ჩამოვიდა.

**მოსკოვი.** რადგან პეტერბურგში ხოლერა გაძლიერდა, ამიტომ მოსკოვში ნიკოლაევის რკინის გზით მოსულ მგზავრებს გასინჯავენ ხოლმე.

**არხანგელსკი.** პინეგაში ხოლერით ავად გახდნენ პროვიზორი და მომვლელი ქალი.

**ვარშავა,** 12 ივნისს კელცის მოსეზე გაგზავნილ ორ სტრაჟნიკს ვიღაც უცნობებმა სროლა აუტეხეს. მოჰკლეს ერთი სტრაჟნიკი, მეორე დასჭრეს.

**პეტერბურგი.** 13 ივნის ხოლერით ავად გახდა 100, გარდაიცვალა 23 კაცი. საავადმყოფოში 419 ხოლერიანი წევს. ამავე დროს პეტერბურგის გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6 კაცი.

**პეტერბურგი.** რადგან ამ ბოლო დროს პრესაში ხშირად სწორე ცნობები არ იბეჭდება სატუსაღოებში სახადიან ავადმყოფების შესახებ, ამიტომ სატუსაღოების მთავარი მართველობა აცხადებს: 1907 წელს სახადი სატუსაღოებში აქა-იქ იყო და მიღებულ ზომების შემდეგ თან და თან ისპობოდა. რადგან 1907 წელს სატუსაღოები ძალიან სავსე არ იყო, ამიტომ სახადთან ბრძოლა ადვილი იყო და არც იმდენად შრომა იყო საჭირო მის მოსასპობად, როგორც ეხლა. თუმცა სატუსაღოს ადმინისტრაცია მხნე ზომებსა ხმარობს სახადის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც არ შეუძლიან სახადის მოსპობა, რადგან ავადმყოფ ტუსაღების საღ ტუსაღებისგან დაშორება ძალიან ძნელია. სულ სატუსაღოებსა და ციხეებში ავადმყოფი იყო 181,137 კაცი, ორჯელ მეტი, ვიდრე 1906 წელს. 1908 წელს სახადი უფრო ივლისში მძვინვარებდა, როდესაც ავადმყოფთა რიცხვი 1284 კაცს უდრიდა და აქედან სახადით ავად იყო 424 ტუსაღი. შემდეგ მიღებულმა ზომებმა გასჭრა და სახადმა იკლო, ასე რომ პირველ ოქტომბერს 373 სახადიანი ავადმყოფი იყო. ზამთრის დამდეგს სახადი გაძლიერდა. 1909 წლის იანვარში ავად იყო 923, თებერვალში 2,194, მარტში 2056 ტუსაღი. ამის შემდეგ სახადმა იკლო და მაისის ბოლო რიცხვებში 2,000 ავადმყოფი-ღა იყო. რომ სახადი არ გაძლიერებულიყო, სატუსაღოების მთავარმა მართველობამ ადგილობრივ ადმინისტრაციას დაავალა სხვა და სხვა ზომების მიღება, ამას გარდა სატუსაღოების ადმინისტრაცია მოვალე იყო კვირაში ერთხელ სატუსაღოების მთავარ-მართველობისთვის ეცნობებინა სახადის მსვლელობა. იმის და მიხედვით, თუ რა შინაარსისა იყო სატუსაღოს ადმინისტრაციის მოხსენება, მთავარი სამართველო განკარგულებას ახდენდა სხვა და სხვა ზომების მიღების შესახებ და იქ, სადაც სახადი ძლიერ მძვინვარებდა, განსაკუთრებულ მოხელეებს ჰგზავნიდა სახადთან საბრძოლველად. სახადის სატუსაღოებში ესე მოდება, ტუსაღების ერთი სატუსაღოდან მეორეში გადაყვან-გადმოყვანასაც უნდა მიეწეროს. რადგან 1909 წლის დასაწყისში სახადი გაძლიერდა, ამიტომ, იუსტიციის მინისტრის ჩებართვით, ტუსაღების გადაყვან-გადმოყვანა დროებით შეჩერდა. მიღებულმა ზომებმა შეასუსტეს სახადი. როგორც მთავარ სამმართველოში მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, ექიმებს და სატუსაღოების ადმინისტრაციას თავგამოდებით უბრძოლნიათ ამ სენთან და ბევრი მათგანი ავადაც გამხდარა. 1908 წლის მარტში სახადით ავად იყო 85, აპრილში 98, მაისში 60 კაცი. სხვათა შორის პეტერბურგის სატუსაღოებსა და ციხეებში მიღებულმა ზომებმა ისე შეასუსტეს სახადი, რომ მარტო 8% კვდებოდა. 1908 წლის პირველ იანვრიდან 1909 წლის პირველ იანვრამდის პეტერბურგის სატუსაღოებსა და ციხეებში ხოლერით და სახადით ავად გამხდარა 511 ტუსაღი, მორჩენილა 454, გარდაცვლილა 42 ტუსაღი. 12 ივნისამდის ავად იყო 15 კაცი.

**პეტერბურგი.** 13 ივნის 25 წელიწადი შესრულდა, რაც სამრევლო-საეკლესიო პირველ დაწყებითი სკოლები არსებობენ. ამის გამო ხელმწიფე-იმპერატორმა სინოდის სახელზე ბრძანება გამოსცა. ხელმწიფე-იმპერატორი მადლობას უძღვნის სამღვდელოებას და სინოდს ნაყოფიერ მუშაობისთვის. ბრძანების ბოლოში ნათქვამია, ვიმედოვნებთ, რომ სამღვდელოება კვლავინდებურად ნაყოფიერად იმუშავებს და მუშაობასა ხალხის ახალ მოთხოვნილებას შეუფარდებსო.

**კიევი.** სრულიად რუსეთის ფერშალთა კრებამ მოისმინა მოხსენება გასამეორებელ კურსების შესახებ და დაადგინა, რომ გასამეორებელი კურსები დრო გამოშვებით საუნივერსიტეტო და სხვა საგუბერნიო ქალაქებში გაიმართოს ხოლმე, მხოლოდ იმ ანგარიშით კი, რომ თვითეულ ფერშალს და ფერშალ-ქალს სამ წელიწადში ერთხელ შეეძლოს ამ კურსებზე წასვლა.

**პეტერბურგი.** შესრულდა 25 წელიწადი, რაც სამრევლო-საეკლესიო პირველ დაწყებითი სკოლები არსებობს. ამის გამო გადაიხადეს იუბილეი. საეკლესიო სკოლებში ყველა მოსამსახურეს მისცემენ ამ დღისთვის გაკეთებულ მედალს. ამას გარდა ამ დღის აღსანიშნავად ყირიმში საეკლესიო სკოლების ავადმყოფ მასწავლებელთათვის სანატორია დაარსეს.

სამხედრო ოლქის სასამართლომ დაასრულა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პეტერბურგ. კომიტეტის წევრების საქმე. სასამართლომ გადაუწყვიტა სამს 4 წლით კატორგა. ხუთი გაამართლა. 4 კაცის საქმეს ცალკე გაარჩევენ.

**ლოძი.** გაიხსნა კბილის საექიმო გამოფენა. ეს პირველი ასეთი გამოფენაა რუსეთში მონაწილეობას იღებენ რუსეთის და უცხოეთის წარმომადგენელნი. გამოფენა 10 დღეს გასტანს.

**პეტერბურგი.** 14 ივნისს ხოლერით ავად გახდა 58, გარდაიცვალა 29, მორჩა 18, საავადმყოფოში არის 506 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ დუხაბორები შავი ზღვის პირად.** როგორც მკითხველს მოეხსენება, მთავრობამ ნება დართო დუხაბორებს, კავკასიაში დაბრუნდნენ. „კასპი"-ს სიტყვით, დუხაბორებს შავის ზღვის ნაპირებზე დაასახლებენ. მთავრობას სურს დუხაბორების შემწეობით შავ ზღვაზე მეთევზეობა გააძლიეროს და ამით ოსმალეთის მეთევზეებს კონკურენცია გაუწიოს. დუხაბორებს სპეციალისტებს მიაშველებენ.

**✦ სასულიერო სემინარიის შენობაზე.** როგორც მკითხველებმა იციან, საქართველოს სამღვდელოებამ ჯერ კიდევ ამ 70 წლის წინად შეიძინა ზუბალაშვილისაგან 82,000 მანეთად პუშკინის ქუჩაზე მიწა და სახლი, რომელშიაც მოთავსებულია სასულიერო სემინარია. ამ შენობაზე კარგა ხანია დავაა. ამას წინად სემინარიაში გადმოგვცეს, რომ შენობა უნდა გადაეცეს სამღვდელოებას, მხოლოდ ამ უკანასკნელმა ახალ შენობაზე დახარჯული ფული, უნდა გადაიხადოსო. ჩვენ ეს ამბავი დავბეჭდეთ, მაგრამ ეხლა სულ სხვა ირკვევა: უწ. სინოდის განკარგულება მოუხდენია, ძველი შენობა ან იჯარით გაიცეს, ან გაიყიდოს. ექსარხოსის მოადგილეს ამ განკარგულების აღსრულება დაუვალებია სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭოსათვის. ამის შემდეგ განცხადება დაიბეჭდა „კავკაზ"-ში შენობის იჯარით გაცემის ან გაყიდვის შესახებ. ადგილი სადაც შენობაა, მეტად ძვირფასი რამ არის და გასაკვირველია, თუ კი სამღვდელოება გადაიხდის ახალ შენობაზე დახარჯულ ფულს, რაღად უნდა გაიყიდოს ძველი ადგილი და შენობა. ამ ამბავმა რამდენადაც ყური მოვკარით, ძალიან დააფიქრა ქართველი სამღვდელოების წევრნი. სამღვდელოების ზოგიერთ წარმომადგენლებს აზრადა აქვთ, სთხოვონ ექსარხოსის მოადგილეს, ნება დართოს სამღვდელოების დეპუტატთა საგანგებო კრების მოწვევისა. კრება ამ საკითხს შეეხება.

**✦ გაზეთ „გორცის" დაკეტვა.** ადმინისტრატიულის განკარგულებით სომხური ყოველ დღიური გაზეთი „გორცი" დაიკეტა სამხედრო წესების მოხსნამდე.

**✦ ჯარის მოსვლა.** ბაქოს გაზეთების სიტყვით, შაბათს, 14 მაისს ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთიდან გენერალ სნასკის რაზმის ასი როტა.

**✦ იარაღი** 13 ივნის კრწანისში, თამამშევის ბაღში, პოლიციამ ნახა მიწაში ჩაფლული ერთი თოფი, ერთი ხმალი და 56 პატრონი. ეს იარაღი, პოლიციის ჩენებით, ყოფილა ბართლომე არველაძისა. რადგან მას [illegible] პასუხის გებაში მისცეს.

**✦ უპასპორტოები.** 14 ივნისის პოლიციის მე-10 ნაწილში, დააპატიმრეს 15 უპასპორტო კაცი. ამგვარ დევე 6 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს ნაძალადევში.

**✦ ნ. ზ. ცხვედაძე.** შაბათს, 20 ივნისს, საზოგადო მოღვაწეს ნ. ზ. ცხვედაძეს მისი პატივისმცემელნი უმართავენ სადილს ვერის ბაღში „ედემში". ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ სადილში, შეუძლიან ჩაეწეროს წინდაწინვე სათავად-აზნ. ბანკში ბ-ნ ი. რატიშვილთან.

**✦ ახალი კლუბი.** 14 ივნისს. ნაშუადღევის 2 საათზე, მოხდა კრება ახალ კლუბის წევრებისა. კრებამ, პირველად მიიღო 17-მდე ახალი წევრი და შემდეგ აარჩიეს მამასახლისები. აარჩიეს: კნ. ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანისა, ნინო ჯორჯაძე, მ. ი. ორბელიანი, ა. ა. აბხაზი, ს. კლდიაშვილი, ალ. ნანობაშვილი, პ. სურგულაძე, ვ. სიდამონოვ-ერისთავი, ქ ქავთარაძე, ვ. კორინთელი და ვ. სიდამონოვ-ერისთავი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ პ. გოთუა, მ. ლობჟანიძე, კ. მაღალაშვილი და კ. ფერნაძე.

**✦ ხელოსანთა მამასახლისის არჩევანი.** ტფ. ხელოსანთა მოურავს რაფაელოვს უკვე გაუთავდა სამსახურის ვადა. უკვე შეუდგნენ ახალ მოურავის არჩევნების სამზადისს. ოთხშაბათს, 17 ივნისს, საღამოს 6 საათისთვის შრომის ბირჟის სადგომში, ვერის მოედანზე, დანიშნულია კერძო კრება უსტაბაშებისა და რწმუნებულებისა ხელოსანთა მოურავის თანამდებობაზე ახალ კანდიდატების დასასახელებლად.

**✦ საზიზღარი შანტაჟისტები.** 13 ამ თვეს საღამოს 5 საათზე, რვა ცარიელი ნახშირის ურემი მეხრეებითურთ ქალაქიდან სოფლად მიდენილა. ქალაქიდან მათ ასდევნებია ოთხი უცნობი კარგად ჩაცმული კაცი. უცნობებს მეურმეებთან გაუბავთ ბაასი და რაჟ მიახლოვებულან დრმა-დელდეს, უძვრიათ ლევორველები და მეურმეებისათვის მოუთხოვნიათ გაყიდულ ნახშირის ფული. მეურმეებს შეჰშინებიათ, დაუწყვიათ ვედრება, ნუ დაგვხოცავთო. ერთ უცნობს ყველასთვის ჯიბე-უბე დაუჩხრეკია. შვიდ თუმნამდის ფული აუცლია და ამხანაგებითურთ ქალაქისკენ წამობძანებულა. საცოდავი მეურმეები კი თვალცრემლიანები სახლები საკენ წასულან.

**✦ ახალ შენობაში გადასვლა.** ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობა უკვე შეუდგა [illegible] ახალ შენობაში სემინარიის ნივთების გადატანას. ძველ შენობას დასცლიან ერთი თვის განმავლობაში.

**✦** 14 ივნისს ყელიაშინოვის ქუჩაზე უეცრად წაიქცა და გარდაიცვალა ფეხით მიმავალი ქალაქის სამკურნალოს აფთიაქის გამგე ბახჩიევი.

**✦** 13 ივნისს თავის მოკვლის განზრახვით სირანუშ ყაზაროვმა კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა. ყაზაროვისა ცოტას ხანს შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**✦** 13 ივნისს მეევლი ქუჩაზე მცხოვრებს უბნის ზედამხედველს დუბროვს უეცრად რევოლვერი გაუვარდა და ბეჭში დაიჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## ქ უ თ ა ი ს ი

**✦ ნამესტნიკი ქუთაისში.** სამშაბათს დილას, 16 ივნისს, ქუთაისში მოელიან კავკასიის ნამესტნიკს. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, სადილზე ან საუზმეზე მიიწვიოს ნამესტნიკი.

**✦ რეალიზაცია.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნება-დართულ ობლიგაციური სესხის ფურცლების დამზადების შესახებ; ამავე დროს მან წერილები დაუგზავნა სხვა და სხვა სავაჭრო ფირმასა და საკრედიტო დაწესებულებას და შეეკითხა, რა პირობით იკისრებენ ობლიგაციურ ფურცლების რეალიზაციას.

**✦ ხე-ტყის მოედანი.** დიდი ხანია ქალაქს აღძრული აქვს შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ უფასოდ დაეთმოს მას ბალახვანის ქუჩაზე, რიონის ნაპირას მდებარე სახაზინო მიწა, ეგრედ წოდებული „წყლთაშუა", სადაც ქალაქს სურს ხე-ტყის მოედნის გამართვა. შუამდგომლობა ყველას შეწყნარებული ეგონა და დღე-დღეზე მოელოდენ ოფიციალურ ცნობას ამის შესახებ. როგორც ეხლა აღმოჩნდა, მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის უმთავრეს სამ- [illegible] ქალაქისათვის ხსენებულ ადგილის უფასოდ დათმობა, რადგან არსებული კანონები ამის ნებას არ გვაძლევსო. ამიტომ სამმართველო, კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საშუალებით, წინადადებას აძლევს

# ამხანაგები

### მ. გორკისა.

სოფელ სმოლკინას ივლისის ცხარე მზე დაჰქათქათებდა. კაშკაშა სხივები უხვად ჰრწყავდნენ ქოხ მაზებს. ყველაზე ძალიან მამასახლისის ქოხის სახურავი იყო განათებული, რომელიც ამ ცოტას ხანში ახლად გადაეჰხურეს სუფთად გარანდულ ყვითელ თხელ ფიცრით. კვირა დღე იყო. სოფლის ხალხი ქუჩაში გამოსულიყო, სადაც სქელი ბალახი და გამხმარი გორახები სჩანდა. ხალხი მამასახლისის ქოხის წინ შეყრილიყო, ზოგი ქოხის გარშემო მიყრილის მიწაზე იჯდა, ზოგი პირდაპირ მიწაზე, ზოგიც იდგა. მათ შორის ბალღები დაჰხტოდნენ. დიდები უჯავრდებოდნენ, მუჯლუგუნს სცემდნენ.

მაღალს, დიდ-ულვაშა კაცს შემოეხვეოდნენ. როგორც ეტყობოდა ქალარა სქელ ბალნით შემოსილს და ღრმად დაღარულს მრეშს სახეზე, ჭუჭყიან ქუდის ქვეშ გამოწეულს თმაზე, იგი იქნებოდა ასე 50 წლისა. თავჩაქინდრული იცქირებოდა, ღრაჭიან ცხვირის ნესტოები უთრთოდა. როდესაც თავს მაღლა აიღებდა და მამასახლისის ქოხის სარკმლებს შეჰხედავდა, დიდი, ღრმად ჩაცვენული, კაეშნით მოცული, დაღვრემილი თვალები გამოუჩნდებოდა ხოლმე. სქელი წარბები თვალის ბაიებს სჩრდილავდნენ. ტანზე ეცვა დარიჩინის ფერი, დაფლეთილი, მონასტრის მორჩილის ქვეშ საცმელი კაბა, რომელიც ოდნავ უფარავდა მუხლებს. წელზე თოკი ჰქონდა შემოჰკერილი. ზურგზე გუდა ეკიდა, მარჯვენა ხელში გრძელი, რკინის წვერიანი ჯოხი ეჭირა, მარცხენა—უბეში შეეყო. ხალხი ეჭვით, ზიზღით სინჯავდა. უხაროდა: მგელი ისე დაიჭირეს, ფარას ვერა ავნორა. სოფლად გავლის დროს, მამასახლისის ქოხის სარკმელთან მივიდა. მამასახლისმა ბურახი გამოუტანა და გამოელაპარაკა. მიუხედავად მგზავრთა ჩვეულებისა, იგი უხალისოდ უპასუხებდა. მამასახლისმა ბილეთი მოსთხოვა, რომელიც არ აღმოაჩნდა. და აი, ეხლა მამასახლისი თავისს ქოხში იასაულს არიგებდა, თუ როგორ და სად უნდა მიეყვანა ტუსაღი, რომელსაც კარში ბრბო ეხვია.

კუზიანი ტუსაღი ტირიფს მიჰყუდებოდა.

აგერ ქოხის დერეფანში მოხუცი გამოჩნდა, რომელსაც თვალთ დაჰკლებოდა და გაიძვერა სახე ჰქონდა. იგი კიბეზე დინჯად ჩამოდიოდა, თან ლიპი უთანთალებდა. უკან წუკრიანი გზირი მოსდევდა.

— მიხვდი, ეფიმ?—ჰკითხა მამასახლისმა გზირს.

— რა არის აქ ძნელი მისახვედრი? ყველაფერი გავიგე. მე, სმოლენელი გზირი, ვალდებული ვარ ეს კაცი ერობის უფროსთან მივიყვანო, მორჩა და გათავდა!—ამ სიტყვებს გზირი ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სასაცილო მედიდურობით ამბობდა. როდესაც ლაპარაკი გაათავა, ხალხს თვალი ჩაუკრა.

— ქალალდი?

— ქაღალდი უბეში განისვენებს.

— ჰო და ეგრე!—შთაგონებით უთხრა მამასახლისმა, გვერდი მოიფხანა და დაუმატა:—აბა, ღმერთი შეგეწიოთ, გასწით!

— აბა, მამაო, წავიდეთ?—გზირმა ტუსაღს გაუღიმა.

— კაცო, ცხენებს მაინც მოგვცემდით!—უთხრა ტუსაღმა. მამასახლისმა ჩაიცინა.

— ცხენებსა? ჰხედავ! იმდენი მაწანწალები დაძრწიან მინდორ-ველში და სოფლებში, რომ ცხენები ყველას ვერ გახვდება. ფეხითაც რომ იცუნცულო, არა გიშავს რა, შინ არ გაგიჯავრდებიან.

არა უშავს რა, მამაო, წავიდეთ! —გაამხნევა გზირმა.—იქნებ, შორი გზა გგონია? ოციოდე ვერსი იქნება! ხელად გადავირბენთ, მამაო! იქ დაისვენებ!

— საცივეთში,—აუხსნა მამასახლისმა.

— ეგ არაფერი,—აჩქარდა გზირი: —დაღლილი კაცი საპყრობილეშიაც დაისვენებს. მართალია, იქ ცოტა ეგრილება, მაგრამ, რადგან კარში ცხელა, იქაურობა სამოთხედ გეჩვენება.

ტუსაღმა სასტიკად ჩაათვალიერა თავისი წამძღოლი, რომელიც გულახდით და მხიარულად იღიმებოდა.

— აბა, პატიოსანო მამაო, გავწიოთ! მშვიდობით, ვასილ ვასილიჩ!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ეფიმ! თვალი გეჭიროს!

— კეფაზედაც კი თვალები უნდა გამოიბა.—რომელიღაც ახალგაზდამ მიაძახა გზირს.

— ბავშვი ხომ არა ვარ?

წავიდნენ. ტუსაღი ჩქარის ნაბიჯით წინ მიდიოდა. დიდ ჯოხიანი გზირი უკან მისდევდა.

ეფიმი ჩასხმული, დაბალი ტანის კაცი იყო. კეთილი სახე ჰქონდა. წვერი ნაცრის ფერს თვალებთანვე ეწყობოდა. მუდამ რაღასაც უღიმოდა, ამ დროს ყვითელი კბილები უჩნდებოდა. თათრულ აზიამის კალთები ქამარში ჰქონდა ჩატანებული, სიარული არ დაიმალებოდა. თავზე მუქ-მწვანე ქუდი ჩამოეცვა, წინ ჩამოეფხატა და ძალიან მიაგავდა ტუსაღების ქუდს.

მისი თანამგზავრი ყურადღებას არ აქცევდა, მიდიოდა, თითქოს არც კი ჰგრძნობს, თუ უკან მისდევს ვინმეო. მოკლე ბილიკით მიდიოდნენ, რომელიც ყანების ზღვაში გველივით მიიკლაკნებოდა.

ცის კიდურზე ტყე ლურჯად მოსჩანდა. მგზავრების მარჯვნივ დათესილი მინდორი გაჭიმულიყო. შუაში სოფელი იყო, ხოლო სოფლის იქით, კიდევ, მტრედის ფერ წყვდიადში შთანთქმული მინდორი სჩანდა.

მარჯვნივ, ტირიფებს იქით, შეუღებავი თუნუქით გადახურული სამრეკლო ცაში აზიდულიყო და მზეზე ისეთი კაშკაში გაჰქონდა, რომ ადამიანი თვალს ვერ გაუშტერებდა.

ცაში ტოროლები ხმას არაკრაკებდნენ. ყანებში სოსნები იღიმებოდნენ. პაპანაქება იყო, სუნთქვა ძნელდებოდა. მგზავრები სიარულით მტვერს აყენებდნენ.

ეფიმს მოეწყინა. ბუნებით ყბედი იყო, დიდ-ხანს სიჩუმე არ შეეძლო. აი, ჩაახველა და ყალბი ხმით შემოსძახა:

— „ჰეეე-ი... ნაა-ღველი გულს რად მი-ი-ი-ქენჯნი-ის?"

— ხმა აღარ მივარგა! რა ხმა მქონდა! როგორა ვმღეროდი!.. ვიშენკელი მასწავლებელი მეტყოდა ხოლმე, აბა, ეფიმ, ასწიო, და... ჩავაკაკანებდი ხოლმე. ეჰ, კაი ბიჭი იყო!

— ვინა?—ბოხი ხმით იკითხა შემოსილმა.

— აი, მასწავლებელი ვიშენკელი,...

— ვიშენკელი გვარია?

— ვიშენკა სოფელია, ძმობილო! ვიშენკის მასწავლებელი მეთქი. პავლე მიხაილიჩი. უკეთესი კაცი არ მოიძებნებოდა. მესამე წელიწადია, რაც მიიცვალა.

— ახალგაზრდა იყო?

— ოც-და-ათი წლისა ჯერ არ იყო.

— რამ მოკლა?

— ალბად, დარდმა.

მესაუბრემ აღმაცერად შეჰხედა ეფიმს და ჩაიცინა.

— აი, ჩემო კარგო, საქმე როგორ იყო: შვიდი წელიწადი განუწყვეტლივ ასწავლიდა, ბოლოს ხველა დააწყებინა. ახველა, ახველა და ჯავრს მისცა თავი. ჯავრის გამო არაყის სმა დაიწყო. ეს ამბავი მამასახლისს არ მოეწონა. ადგა და ქალაქში ქაღალდი გაგზავნა—ასე და ასეო, მასწავლებელი ძლიერა სვამსო, ხალხს ცუდს მაგალითს აძლევსო. ქალაქიდან პასუხად მასწავლებელი-ქალი გამოგზავნეს და თან ქაღალდი გამოატანეს. მაღალი ქალი იყო, გამხდარი, დიდ-ცხვირა. პავლე მიხაილიჩმა რომ დაინახა, საქმე ცუდად იყო, ეწყინა. ამდენს ხანს ვასწავლიდიო და..., ჰაი, თქვე ეშმაკებოო... სასწავლებლიდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიდა და მეხუთე დღეს კი სული მიაბარა. აი, ასე იყო.

ცოტას ხანს ჩუმად იარეს. ტყე ახლოვდებოდა, მათ თვალ-წინ იზრდებოდა, ლურჯი ფერის მაგივრად მწვანე ფერი მოსჩანდა.

— ტყით წავალთ?—იკითხა ტუსაღმა.

— ნაპირზე გადავჭრით, ასე ნახევარ ვერსსა. რა იყო? ჰმ? შე დღეურდგტავ! ეფიმმა თავის ქნევით ჩაიცინა.

— რა იყო?—იკითხა ტუსაღმა.

— არაფერი! კოჭებში გატყობ, რაც შვილი ხარ! გულუბრყვილო ხარ, ჩემო კარგო! ვინც უფრო ჭკვიანია, კი არ იკითხავდა; პირდაპირ ტყისკენ გასწევდა.

— მერე? რა გინდა?

— არაფერი. ე ტყეზე ფიქრს თავი დაანებე! ჩემთან რას გახდები, შენისთანები სამი არ მეყოფა! გინდა, მარცხენა ხელით გამოვალ! გაიგე?

— გავიგე! სულელი ხარ—მოკლედ მიუგო ტუსაღმა.

— რა? მიგიხვდი?—უხაროდა ეფიმს.

— რას მიმიხვდი, შე საფთხულო?—ჩაიცინა ტუსაღმა.

— აი ტყეზე რომ სიტყვა ჩამოაგდე. ვიცი. ვითომ ტყეში შევიტყუებო, ერთი კარგა მივბეგვამო და მერე მოვცხრილამო. ასე არა ფიქრობდი?

— სულელი ხარ!—მხრები აიშმუშნა ტუსაღმა.—აბა, სად წავალ?

— საცა გინდა, ეგ შენი საქმეა!

— მაინც სად?—ეფიმის თანამგზავრი თითქოს ჯავრობდა, თითქოს ჰსურდა, გაეგო თავის წინამძღოლისაგან, საით შეეძლო წასვლა.

— გეუბნები, საითაც გინდა მეთქი!—მშვიდად უთხრა ეფიმმა.

— სად წავალ, ძმაო, არსად არა მაქვს ადგილი.—ნელის ხმით სთქვა ტუსაღმა.

— შენც ამბობ რაღა!—ეჭვიანად სთქვა ეფიმმა და ხელი ჩაიქნია.—გასაქცევს ალაგს მუდამ იპოვნი, დედამიწა დიდია. ერთი კაცი მუდამ იპოვნის ალაგს.

ქალაქს, რომ შეისყიდოს ადგილი შეღავათიანის პირობით: თითო ოთხ-კუთხ საჟენში თხოულობენ არა უმეტეს 1 მ. 50 კ. და მასთან ფულის გადახდასაც 37 წლით ანაწილებენ. შესასყიდი ადგილი 4139 საჟენია, ასე რომ ქალაქს დასჭირდება იმის შესასყიდად სულ 6208 მ. 50 კაპ.

**✦ გენერალ გუბერნატორის მოადგილე.** ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სლავოჩინსკის თანამდებობას აასრულებს დროებით გენერალ-ლეიტენანტი ვერეშჩაგინი.

# კათალიკოსის მოსვლა ტფილისში

კვირას ტფილისში ჩამოვიდა სრულიად სომეხთა კათალიკოსი მათეოს მეორე იზმირლიანი. ქალაქელი სომხობა კათალიკოსს დიდის ამბით მიეგება. ჯერ კიდევ 13 ივნისს საღამოსთვის კათალიკოსის მიმღებ კომიტეტის მეთაურობით ცოცხალის ყვავილებითა და ელექტრონის ფარნებით მორთეს ვანქის ტაძრის გალავნის შესავალი და აგრეთვე სომეხთა ეპისკოპოსის სახლი. 14 ივნისს 11 საათზე რკინის გზის სადგურზე უკვე შეიკრიბნენ ტფ. სომეხთა და სხვა ეროვნებათა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. 11½ საათი იქნებოდა, მოვიდა საგანგებო მატარებელი. სალონ-ვაგონში ავიდნენ პოლკოვნიკი ლაზარევი, ქალაქის თავის მოადგილე ალ. ხატისოვი, გამგეობის წევრნი, კათალიკოსს სიტყვებით მიმართეს და გამოსთქვეს სიხარული ტფილისში მოსვლისათვის. სადგურის დარბაზში და ბაქანზე მდგომი ხალხი „კეცე“, „კეცე“-ს ძახილით მიეგება კათალიკოსს, როდესაც იგი გამოჩნდა ვაგონის კარებში. დარბაზში კათალიკოსს სიტყვით მიმართეს საქართველოს სომეხთა ეპარქიის წარმომადგენელმა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ. კათალიკოსმა დამსწრეთ მიგებებისათვის მადლობა გადაუხადა. სადგურიდან კათალიკოსი ექვს ცხენიან საგანგებო ლანდოთი ვანქის ტაძრისკენ წავიდა. ორასამდე ეტლი მისდევდა ლანდოს. წინ მიდიოდა ჟანდარმთა რაზმი, მას მისდევდა ორი ცხენოსანი მღვდელი, რომელთაც ხელში კვერთხები ეჭირათ; მერე მიდიოდა კათალიკოსის ლანდო, რომელზედაც უკან, იქით-აქედან წითელში გამოწყობილი ორი კაცი იდგა. ლანდოს უკან მიჰყავდათ ორი შეკაზმული ცხენი. სადგურიდან მოკიდებული იმ ქუჩებზე, სადაც კათალიკოსს უნდა გაევლო, მრავალი ხალხი იდგა და კათალიკოსს „კეცეს“ ძახილით ეგებებოდა. ბევრი ხალხი იყო ალექსანდრეს ბაღთან, სადაც კათალიკოსი ლანდოდან ჩამოვიდა და ბაღდახინით ვანქის ეკლესიისაკენ გაემგზავრა. წინ კათალიკოსს შემოსილი ეპისკოპოსი, არქიმანდრიტები და სამღვდელოება მიუძღოდა. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ვანქის ეკლესიის მახლობლად ქუჩებში მრავალი ხალხი იყო. ამ რიგად შევიდა კათალიკოსი ვანქის ტაძარში და მცირე ლოცვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა. კათალიკოსმა თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ თავის უპირველესს საქმედ დაისახავსო სკოლების გამრავლებას და მით მთელი სომხობის კულტურულად განვითარებას. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სამღვდელოების მომზადებას ხალხის სამართველოდ. უნდა ვეცადოთ, სთქვა აგრეთვე კათალიკოსმა, უნდა ყოველივე ღონე ვიხმაროთ, რომ უკვე დაწესებული და დამტკიცებული კანონიერება არ დავარღვიოთ. კანონის ფარგალში ჩვენის ერის საკეთილდღეო მოქმედებით დავიმსახურებთ ხელმწიფე იმპერატორის კეთილ ყურადღებას და ნელნელა შევძლებთ ჩვენი ერის აღორძინებასო..

ვანქის ტაძრიდან კათალიკოსი სადგომში შევიდა. აქ ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა სიტყვით მიმართა.

ცოტას ხანს შესვენების შემდეგ კათალიკოსი გაემგზავრა სიონის საკრებულო ტაძარში. აქ დახვდნენ ტ.-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელნი და სიონის კრებული დეკანოზ მ. ტყემალაძის მეთაურობით. მ. ტყემალაძემ ასე მიმართა კათალიკოსს: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქართველთა ამ უძველეს ტაძარში. ჩვენს ეკლესიაში თქვენი მოსვლა გვიჩვენებს თქვენისა და თქვენდამო რწმუნებულ ერის სიყვარულს ქართველთადმი. ღმერთმა განამტკიცოს ეს სიყვარული ორივე ერის საკეთილდღეოდ. ნიშნად ჩვენის პატივისცემისა მოგართმევთ გამოკვლევას, სადაც აღწერილია სიონის ტაძრის ისტორია. კათალიკოსი ამის შემდეგ ემთხვია წმ. ნინოს ვაზის ჯვარს, სხვა ხატებს და მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

14 ივნისს კათალიკოსი კავკასიის ნამესტნიკთან იყო. საღამოთი ნამესტნიკი იყო ვანქის ტაძარში კათალიკოსთან. საღამოთი ვანქის ეზო, კათალიკოსის სადგომი და გალავნის შემოსავალი გაჩირაღდნებული იყო.

—

**ბაქოდან** გვწერენ: 13 ივნისს საღამოს 4½ საათზე, სად. ბალაჯარაში მოვიდა სრულიად სომეხთა კათალიკოსი. ვაგზალზე დახვდა თითქმის მთელი სომხის საზოგადოება. იყვნენ წარმომადგენელნი სომეხთა ყველა კლასისა. დაჰხვდა აგრეთვე ბაქოს ქალაქის თვით-მართველობა, ქალაქის თავის რაევსკის წინამძღოლობით. ქალაქის თავმა მიართვა პურ-მარილი და მიმართა სიტყვით. იყვნენ წარმომადგენლები აგრეთვე სხვა ეროვნებისაც. რიცხვთა შორის ბაქოს ქართველმა საზოგადოებამაც გაგზავნა თავის წარმომადგენლებად ი. ელიაშვილი, სვ. კვიტაშვილი და პლ. გელოვანი. ქართველების მისალმებას კათალიკოსმა უპასუხა, რომ ძლიერ სასიამოვნოდ მიმაჩნია ქართველების სალამი, მით უმეტეს, რომ ქართველები და სომხები მონათესავე ერები არიან და მასთან ერთად მცხოვრებნი. ესენი ერთად მიდიან კულტურის გზაზე და მომავალშიაც ერთად უნდა იშრომონ კანონიერებისა და უფლების ფარგალშიო. საღამოს ექვს საათზე კათალიკოსი „კეცეს“ ძახილით გააცილეს ტფილისისაკენ.

# სხვა მხრიდან

### მრცხვენია!

> ტკბილია ძილი, უტკბესია გაქვავება ჟამსა საძრახსა და სახელის გატეხისას. არაფერი დავინახო, არაფერი ვიგრძნო—აი ჩემი ნეტარება. მაშ, ნუ მაღვიძებ, წყნარად ილაპარაკე.
>
> **მიქელ-ანჯელო.**

მრცხვენია!

როცა მზე შემოისვრის სხივებს ოთახში და მეძახის, იცოცხლე, დასტკბი, განათლდი და გაანათე, მე სირცხვილი მწვავს, საბანს გადავიფარებ თავზე და ვემალები ჭეშმარიტების ელჩს.

შევხედავ ალვის ხეს. ისარივით შეტყორცნილა ზევით, სულ ზევით. მე სირცხვილით დაუძლურებულს მინდა ქვესკნელში ჩავძვრე, რომ არ შევურაცხყო თავისუფალი მცენარე.

როცა მერცხალი ელვასავით დასრიალობს ჰაერში, როცა მერცხალი მიუჯდება თავის ბღარტებს და უჭიკჭიკებს, ელაპარაკება, მე სირცხვილი მიშრობს ნერწყვს და ენა ეკვრება სასას.

ვკითხულობ დაბადებას; მოჯადოებული ვარ ზე-კაცთა მრისხანე სიძლიერით, ადამიანთა გრძნობის სიღრმით, გონების სიმაღლით, აღწერილობის სიმშვენიერით. ყოველი სტრიქონი სირცხვილის ნეშტარივით მჩხვლეტს. უკანასკნელად შევსვამ მთელ ფიალას სირცხვილისას—წარმოვიდგენ ივდითს, როცა ის ოლოფერნეს თავსა ჰკვეთს, დავიხატავ პატარა ჰაბუკს დავითს, როცა შურდულს ესროდა გოლიათს. თავსა ვხრი. ნელა, მოწიწებით ვხურავ დაბადებს და ხელთაპყრობილი წავილებ შორს, შორს ჩემგან.

თვალთა წინ, სიზმარშიაც კი გარკვევით, ჰაერში გაიქროლებენ ხნიერნილნი ჰანიბალი, გარიბალდი. ზიზღით, დაცინვით გადმოჰხედავენ სამშობლო მხარეს... მე ვიკუნტები, ვპატარავდები და დარცხვენილს ბრბოში ვიმალები!

> ტკბილია ძილი. უტკბესია გაქვავება ჟამსა საძრახს და სახელის გატეხისას. არაფერი დავინახო, არ ვიგრძნო—აი ჩემი ნეტარება. მაშ, ნუ მაღვიძებ. წყნარად ილაპარაკე.

მრცხვენია!

**ნ. ლორთქიფანიძე.**

# მოწერილი ამბები

**სოფელი წესი.** (რაჭა) ამ ხუთიოდე წლის წინად ადიდა შეამდგომლობა, რომ სოფელ წესში დაარსებულიყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. მთავრობამ მოითხოვა 500 მანეთი. ამას გარდა ხალხს უნდა მიეცა სამი წლის განმავლობაში დაწესებულებისათვის საჭირო შენობა, ნავთი და სანთლები. როგორც იყო შეიკრიბა ხალხში 500 მანეთი და წარუდგინა მთავრობას. მიუხედავად ამისა ოთხი-ხუთი წელიწადი საქმე მიუხედავი იყო. ფოსტა-ტელეგრაფის გახსნისთვის გიდასა სცადოდა, როდესაც რევოლიუციის ტალღები მთელ რუსეთს მოედო. გაიარა ამ ტალღებმა. ხალხი კვლავ შეეკითხა მთავრობას წესში ფოსტის დაარსების შესახებ. მთავრობისაგან ქაღალდი მოუვიდა შეეკითხეთ ხალხს—სურს თუ არა წესში ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება დაარსდესო. მაგრამ ეხლა ამბროლაურის საზოგადოებამ ამბროლაურში მოინდომა ფოსტის დაარსება. ბოქაულმა ერთ დღეს შეჰკრიბა წესის საზოგადოება და მოელაპარაკა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსებაზე. წესის დახმარება აღუთქვეს აბარის საზოგადოებამ, ბარის საზოგადოებამ და სხვების საზოგადოებამ. მაგრამ ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს: ჩვენ საქმე წესის საზოგადოებასთან გვექნება და იმას მოვთხოვთ ფულსაო. ამ სიტყვების გაგონებაზე ხალხი შეშინდა, იფიქრა ვაი თუ მარტო ჩვენ საზოგადოებას დააწვეს გადასახადიო და ერთ ხმად უარი განაცხადა. ამბროლაურის საზოგადოებამ გაიგო თუ არა ეს, თვითონ განიზრახა ფოსტის დაარსება. ამან წესელები ძალიან დააფიქრა. მეორე დღესვე ისევ შეიკრიბა წესის საზოგადოება და დაადგინა განაჩენი წესში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსების შესახებ. განაჩენი გაუგზავნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს. ორი კვირის შემდეგ გუბერნატორი რაჭაში მოვიდა. წესში მოსვლისას მან განაცხადა, თქვენი განაჩენი უადგილო ყოფილა და ახალ-ახლა უნდა შეადგინოთო. გუბერნატორი წავიდა, ერთი კვირის შემდეგ მოვიდა მაზრის უფროსი, შეჰკრიბა საზოგადოება და ხალხმა კვლავ დაადგინა განაჩენი წესში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსების შესახებ. როგორც იქნა, ამდენი ხნის დაწყებული საქმე ძლივს დაბოლოვდაა ნება რთავენ მოგვივიდა. სახლი ამ ჟამად მზად არის და დღე-დღეზე ველით ქუთაისიდან ფოსტის მოხელების მოსვლას.

**რაჭველი შურდული.**

—

**ფოთი.** მაისის თვემ სულ ახალი სით დაჰბერა ფოთის მყუდრო, უმოძრავო ცხოვრებას. მთელ ამ თვის განმავლობაში ჰქროდა კულტურის ნიავი ფოთის მიდამოებში. მიძინებული მიდამო გამოღვიძების გზას დაადგა. ჯერ პირველად მგოსან აკაკის გაუმართეს იუბილეი და ჯეროვანის პატივის ცემით გაისტუმრეს მხცოვანი მგოსანი; წარმოითქვა ბევრი სიტყვა მგოსანისადმი მიმართული. ამავე ხანებში გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექციები აკაკიზე და გაყა-ფშაველაზე. შემდეგ წაკითხულ იქმნა ლექცია ე. ნინოშვილზედაც. ხშირად იმართებოდა აგრეთვე წარმოდგენები. სხვათა შორის ფოთს ესტუმრა ამხანაგობა ტფილისელ არტისტებისა. ვასილ აბაშიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა შემდეგი პიესები: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „საბედისწერო დამბაჩა“, „ქრისტინე“ და სხვა. ხალხი სავსებით ესწრებოდა წარმოდგენებს. უფეხურთვის ნასიამოვნები ბრუნდებოდა საზოგადოება თეატრიდან.

თუ წინად ხალხი უთეატროდ სცხოვრობდა, თუ წინად არ აინტერესებდა ფოთელ საზოგადოების უმეტეს ნაწილს ამგვარი რამ, ეხლა საზოგადოების ამ ნაწილშიაც მოიკიდა ფეხი კულტურის აუცილებელმა საჭიროებამ. მაგრამ მაგარიც ის არის რომ, თუ არ ტფილისიდან და ქუთაისიდან, თვითონ ფოთელები ამ შემთხვევაში ვერაფერს აკეთებენ. აქ სცენის მოყვარენიც არიან, მაშინ როდესაც პატარა დაბაშიაც კი არის ხოლმე სცენის მოყვარეთა დასი. არ არის სახალხო უნივერსიტეტი, არავინ კითხულობს ლექციებს.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ აქ ჯერ ლაპარაკიც არა ჰქონიათ. ეს საქმე მაინც უნდა მოაწყონ, თორემ, სხვა არა იყოს რა, ახალ-სენაკიც-კი დასცინებს, სადაც შესდგა კიდეც წევრთა საკმაო რიცხვი და დღე-დღეზე მოელიან ნებართვას განყოფილების დაარსებისას.

კვირას, 7 ივნისს, საკრებულო დარბაზში ქუთაისის არტისტების მიერ შ. დადიანის რეჟისორობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს რუს დრამატურგის ფედკოვსკის დრამა „წამხდარი ცხოვრება“. ეს პიესა ახლად დაიდგა ქართულ სცენაზე. პიესამ კარგად ჩაიარა.

**ლ. გ—რი.**

—

**სოფელი სადმელი** (რაჭა). ისეთი გვალვაა საზოგადოდ მთელს რაჭაში, რომ დედამიწა ერთი ნარექის სიმაღლეზე დასქდა. პურის ყანები სულ გაჰქრა. მარტო იმას შეხჩივიან ეხლა გლეხები ერთმანეთს, რომ ხარ-ძროხა რათი გამოვკვებოთ ზამთარში, რომ ბზეც არ მოვა. სიმინდის მოსავალიც საეჭვოა, რადგან გვალვისაგან გამაგრებული მიწა ვერ დახნეს. რაც დახნეს და დასთესეს, ისიც არ ამოსულა. ვენახებს კი სადაც გამხმარი ვაზია, კაი პირი უჩანს და ღვინოთ რა იქნება.

სადმელში ის ადგილი, სადაც სოფლის სამმართველო, სასწავლებელი და ახლად დაარსებული ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაა, სავსეა სამიკიტნოებით. ნარდ-ვაჭრები მამასისხლად ჰყიდიან ყოველსავე სანოვაგეს და ტყავს აძრობენ მცხოვრებთ.

ეხლა, ამ ზაფხულს, აქ უნდა მოხდეს მამასახლისისა და სოფლის მოსამართლეების არჩევა (ძველებს ვადა გაუვიდათ) და ვნახოთ როგორებს აირჩევენ, ახლებსა და კარგებს, თუ ისევ ისეთებს, როგორიც ძველი მამასახლისები იყვნენ, რომ ზოგმა სამოცი თუმანი შეჭამა საზოგადოებისა და ზოგმა მეტნაკლები. მოსამართლეებზე რაღა მოგახსენოთ: მუდამ მტყუანს ამართლებდნენ და მართალს ამტყუნებდნენ.

ერთად-ერთი სიმდიდრე ჰქონდა სადმელის საზოგადოებას—მთა (ეგრედ წოდებული საიაშვილო მთა), რომელიც ამ ოცი წლის წინად ვალითა და ვახშით იყიდეს იაშვილებისაგან, მაგრამ რა: ჯერ დაკეტილი იყო მთა (რადგან რაოდენიმე ნაწილი გაუყიდავი იყო), ბოლოს გაჰყვეს, დაერივნენ აქედან გლეხ-აზნაურები, ხოლო იქიდან პავლე მოსეშვილი და ერთმანეთის ჯიბრზე ისე უდიერად გასჩეხეს, რომ მტერმა რომ ნახოს, ისიც-კი ატირდება.

**ხართი ბაიბაჩა.**

# ოსმალეთი

**შევკეთ-ფაშა და ბერძნის პატრიარქი.**

ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ მოილაპარაკა იმ ინციდენტის თაობაზე, რომელიც მოხდა შევკეთ-ფაშასა და ბერძნის პატრიარქის შორის. საბჭომ დაადგინა: წერილით ვაცნობოთ პატრიარქს, რომ შევკეთ-ფაშამ მხოლოდ თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვა და არა მთავრობისაო.

**საუბარი ბერძნის პატრიარქთან.**

ბერძნის პატრიარქს [illegible] სამეს შემდეგ [illegible] ტის თაობაზე [illegible] რესპონდენტს [illegible]:

— რადგან ბოლოს დროს გახშირდა შეტაკება ბერძნებსა და ბოლგარებს შორის, მე მოვინდომე შევკეთ-ფაშას ნახვა, მინდოდა მისთვის მეთხოვნა ღონისძიების მიღება ბერძნების დასაცველად. მიველ გენერალთან: წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა მან შემომითვალა: „რიგს მოუცადოსო“.

შევკეთ-ფაშამ მიმიღო მეტად გულცივად. მიუხედავად ამისა, მე დინჯად ავუწერე ჩემი მისვლის მიზანი. სხვათა შორის, მე შევჩივლე, რომ თუმცა ბერძნები კანონიერად და წესიერად იქცევიან, ოსმალებმა მაინც კავშირი შეჰკრეს ბოლგარებთან ბერძნების წინააღმდეგო. გენერალმა მიპასუხა, რომ რევოლიუციამდე ბერძნები დინჯად იყვნენ და არ ჩადიოდნენ ბოროტ-მოქმედებასო. ხოლო ეხლა მათი როლები შეიცვალაო.

მე ვუპასუხე, რომ, ჩემის აზრით, ამ ჟამად ბოლგარები ბერძნებს წინანდელზე ძლიერ სდევნიან მეთქი. ასე, მაგალითად ქალ. დრამაში ბოლგარებმა მოჰკლეს 10 ბერძენი ერთის ბოლგარის გულისთვის, რომელიც, როგორც მერე გამოირკვა, თითონ ბოლგარებს მოეკლათ.

გენერალმა გაბრაზებით მიპასუხა: „საბერძნეთიდან მაკედონიაში მუდამ მოდიან აფიცრები, რომლებიც ბერძნის რაზმებს აარსებენ და იარაღს აძლევენ მათ. ჩვენ აღარ მოვითმენთ ამას. ჩვენ მოვსპობთ ამ რაზმებს ყველა მეთაურებს“.

თუმცა შევკეთ-ფაშა შეურაცხყოფელ კილოთი მელაპარაკებოდა, მე მაინც დინჯად ვუპასუხე: „საბერძნეთიდან მოსულები დასაჯ[illegible], მაგრამ რა დააშავეს ადგილობრივმა ბერძნებმა?

გენერალმა განაგრძო: „[illegible] თავი მოგვაძულა თქვენმა ბერძენთა საზოგადოებამ“.

მე ვუპასუხე: არ მესმის თქვენი ქცევა, გენერალო, მეთქი.

შევკეთ-ფაშამ გაიმეორა:

— ჩვენ გავსრესავთ ბერძნებს.

მე მწარედ ვუთხარი: მადლობას გიცხადებთ პატრიარქის და ბერძნის ერის სახელით მეთქი, ავდექ და გაველ. გენერალი გამომყვა, მაშინებდა და მეხვეწებოდა, დავბრუნებულიყავ. მაგრამ მე ყურიც არ ვათხოვე და წამოველ.

# კრიტოსის საქმე

**საუბარი შევკეთ-ფაშასთან.**

მარშალ მახმუდ-შევკეთ-ფაშას უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

— მე ჯარის-კაცი ვარ და კარგად არ მესმის საერთაშორისო პოლიტიკის ხრიკები. მე მხოლოდ მთავრობის განკარგულებას ველი. იმისი თქმა-კი შემიძლიან დარწმუნებით, რომ თუ საბერძნეთი კრიტოსს შეიერთებს, ომი აუცილებელი იქნება.

— ერთს გერმანულს გაზეთში ეწერა, ვითომ თქვენ გეთქვათ: მზადა ვარ 200 ათას კაცს გავუძღვე ათინაშიო. მართალია ეს?

— მაგის მსგავსი არა მითქვამს რა. ის კი მართალია, რომ ჩვენ სულ მოკლე ხანში შეგვიძლიან 200 ათას ჯარის-კაცის გაყვანა ბრძოლის ველზე.

**ევროპიელი ჯარი მიდის კრიტოსიდან.**

ამბობენ, მფარველ სახელმწიფოების ჯარი მალე წავა კუნძულ კრიტოსიდანაო:

ქალ. ოდესაში ოფიციალური ცნობა მიიღეს, რომ ივნისის ნახევარში რუსის რაზმი კრიტოსიდან ქალ. ოდესაში დაბრუნდებაო.

**ოსმალეთის და საბერძნეთის სამხარი მზადება.**

საბერძნეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ბევრი ღონისძიება მიიღოთ საზღვრის დასაცველადო. 14 ივნისს გაიხსნა რკინის გზა ქალ. ლარისიდან ოსმალეთის საზღვარზე.

---

— მერე, შენ რა? გინდა, გაიქცე?—ტუსაღმა ცნობისმოყვარეობით ჩაიცინა.

— არ შეგცივდეს! რა კარგი ბიჭი ხარ! ვანა ეგ წესია? რომ გაიქცე, შენს მაგივრად ვის ჩასვამენ ვირის აბანოში? მე ჩამსვამენ! არა, ეს ისე... ლაპარაკმა მოიტანა.

— ნეტარი კაცი ხარ... სხვებრ კარგი გლეხ-კაცი უნდა იყო—ოხვრით უთხრა ტუსაღმა.

ეფიმიც დაეთანხმა.

— მართალია, ზოგიერთები ნეტარს მეძახიან. ეგეც მართალია, რომ კარგი გლეხ-კაცი ვარ, ალალმართალი ვარ. ზოგიერთები შენთანა მგზავრებს დროს შეურჩევენ ხოლმე და, ვინ იცის, რა გვარ ხრიკებს არ სჩადიან! მე კი რა? მარტოხელი კაცი ვარ. ცბიერად მოიქცევი—მოჰკვდები, სიმართლით იცხოვრებ—მოჰკვდები. ყველაფერს პირში მიუფერებლად ვაკეთებ.

— კარგია!—გულგრილად უთხრა ტუსაღმა.

— მაშ რა ვქნა? უსამართლოდ რად მოვიქცე, როდესაც მარტოხელი კაცი ვარ. თავისუფალი ვარ. როგორც მსურს, ისე ვცხოვრობ. შენი სახელი?

— რაი? ეჰ... თუნდა ივანე ივანოვი დამიძახე.

— სასულიერო წოდებისა იქნები...

— ა-არა!

— მეგონა, სასულიერო წოდებისა იქნებოდი..

— ტანისამოსზე შემატყე?

— სწორედ! ნამდვილად გამოქცეულს ბერსა ჰგავხარ, ან გაკრეჭილს მღვდელს. სახე შესაფერი არა გაქვს, სახით ჯარის-კაცსა ჰგავხარ. უფალმა უწყის, რა ჯურის კაცი ხარ.—ეფიმმა ცნობის მოყვარე თვალებით აათვალიერა თანამგზავრი. ტუსაღმა ამოიოხრა, თავზე ქუდი გაისწორა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და იკითხა:

— თუთუნსა სწევ?

— არიქა, მიშველე! ვწევ, მაშ!

უბიდან გაქუცილი ქისა გამოიღო, თავი დახარა და ჩიბუხში თუთუნს სტენდა, თან მიდიოდა.

— აჰა, მოსწიე!—ტუსაღი შეჩერდა და ასანთისკენ დაიხარა, რომელიც ეფიმმა გაჰკრა. ლურჯი ბოლი ჰაერში გასცურდა.

— მაშ, მოქალაქე იქნები!

— აზნაური ვარ.—მოკლედ მიუგო ტუსაღმა და, ოქროს ფერ ელვარებით მოცულს პურის თავთავებზე გადაიფურთხა.

— ჰმ! ყოჩაღ! მერე ეგრე უბილეთოდ როგორ დასეირნობ?

— აი, ასე დავსეირნობ!

— აზნაური ყოფილხარ და ასე მგელივით წანწალს ხომ ჩვეული არ იქნები? ჰაი, შე მწუხარევ!

— კარგია, გეყოფა! ყბედობა—მიუგო მწუხარემ.

ეფიმი არა სცხრებოდა, უბილეთო კაცს უფრო მეტის ცნობის მოყვარეობით სინჯავდა, დაფიქრებული თავს იქნევდა და განაგრძობდა:

— ეე-ჰე-ჰე-ჰე! ბედი როგორ ეთამაშება ადამიანს! მართლა აზნაური იქნები. თვალსაჩინო შეხედულება გაქვს. დიდი ხანია ეგრე დაიხარ?

თვალსაჩინო შეხედულობის ადამიანმა მოწყენილად გადაჰხედა ეფიმს და, თითქოს აბეზარი კრაზანა მოიგერიაო, ხელი გაიქნია.

— თავი დამანებე მეთქი! რა დიაცივით გადმეკიდე?

— არა გეწყინოს რა!—დამშვიდებით უთხრა ეფიმმა.—წრფელის გულით გეუბნები... ძალიან გულკეთილი ვარ...

— ეგ შენი ბედნიერებაა... ხოლო შენი ენა მოშლილი წისქვილის სარეკელასავით რომ არაკუნებს, ეგ ჩემი უბედურებაა...

— კარგი, გავჩუმდები! თუ კი არა გსურს მოისმინო ჩემი ლაპარაკი, მეტი რა ღონე მაქვს. მაინც უმიზეზოდ ჰჯავრდები. ჩემი რა ბრალია მაწანწალური ცხოვრება რომ გხვდა წილად?

ტუსაღი გაჩერდა, ისე მაგრა მოუჭირა კბილი კბილს, ლოყას თავები ამოებურცა. ჰაღარა ბალანი აებურძგნა. სიბოროტით აღგზნებული და ამოკეცული თვალებით თავით ფეხამდე გაზომა ეფიმი. ვიდრე ეფიმი ამ გამომეტყველებას შენიშნავდა, ტუსაღმა გზა განაგრძო. ყბედ გზირის სახეზე ფიქრი და გულმავიწყობა გამოიხატა. უსტვენდა, სიარულის დროს ფეხებს და ჯოხს ერთმანერთს აყოლებდა, თან მაღლა იყურებოდა, საიდგანაც ტოროლების ხმის კრიალი მოისმოდა.

ტყის პირის მიუახლოვდნენ. ტყე, ბნელი კედელივით, უძრავად აყუდებულიყო და იქიდან არავითარი ხმა არ ისმოდა. ჩამავალ მზის სხივებს ხეების წვეროები წითელ-ყვითლად მოეჭარგათ. ხეებს სინესტის სუნი ასდიოდათ. წყვდიადი და სიჩუმე შემაძრწუნებელს გრძნობას ჰბადებდა.

როდესაც თვალწინ უძრავი და ბნელით მოცული ტყე სდგას, როდესაც იგი საიდუმლო მყუდროებაშია შთანთქმული და, თითქოს, თითოეული ხე გაფაციცებით რაღასაც ყურს უგდებს, მაშინ, გგონიათ, სავსეაა რაღაც ცოცხალ რამით, რომელიც მხოლოდ დროებით მიჩქმალულა. უცდით, რომ შემდეგს წუთში უცებ გამოვარდება რაღაცა უშველებელი და ადამიანის ჭკუის მიუწდომელი, გამოვარდება და ძლიერის ხმით დაილაპარაკებს ბუნების ქმნილებას დიდებულ საიდუმლოებათა შესახებ.

**ვ. გიუნაშვილი.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნძულ კრიტოსზე 30 ათას კაცს სრულად აასხეს იარაღი. ადგილობრივი ჟანდარმერიაც გააძლიერეს.

ამ დღეებში ოსმალეთის ფლოტი მიდის ქალ. სმირნისკენ მონაწილეობის მისაღებად იმ დიდ ალლუმში, რომელიც ქალ. სმირნის ახლო გაიმართება მარშალ შევკეთ-ფაშის უფროსობით.

**ომის მოლოდინი.**

დიპლომატთა წრეები დიდ ამბების მოლოდინში არიან მით უმეტეს, რომ ოსმალეთის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რა წამს ევროპის ჯარი გავა კრიტოსიდან, მის ნაცვლად კუნძულზე თავისი ჯარი ჩააყენოს.

ბოლგარიის უმაღლესი წრეები მთელიან, რომ მალე ოსმალეთში დიდი, საბედისწერო ამბები მოხდება და ბოლგარიაც იძულებული იქნება გაბედულად იმოქმედოსო.

სტამბოლიდან ცნობა მიიღეს სოფიაში, რომ ოსმალეთი ბეჯითად ემზადება საომრადაო. თუ ომი მოხდა, მთავარ სარდლად დაინიშნება მახმუდ-შევკეთ-ფაშაო.

## სპარსეთის ამბები

**თეირანზე გალაშქრება.**

როგორც ამბობენ, თეირანზე გალაშქრებულ ბახტიარების ჯარში ითვლება 5 ათასი კაცი. ამბობენ, რომ რევოლიუციონერებს 500 ცხენოსანი შახსევანი მიემხროო. ჯარს დაურიგეს პროკლამაციები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ შაჰი და მისი დინასტია მალე იქნებიან დამხობილიო.

ბახტიარები ამ ჟამად ქალ. კუმში დგანან და იქიდან კაზვინელ რევოლიუციონერებთან ერთად გაილაშქრებენ თეირანზე.

როგორც ამბობენ, კონსულებმა გამოუცხადეს სარდალ ასადს, რომ საქმეში რუსის ჯარი ჩაერევაო.

შაჰი ძლიერ შეშინდა და თავისთან დაიბარა მინისტრები და ლიახოვი. შაჰმა უბძანა ლიახოვს, რომ მან ყოველნაირი ღონისძიება მიიღოს თეირანზე მომავალ რევოლიუციონერების მოსაგერებლად. ლიახოვმა ორი რაზმი შეადგინა ყაზახებისა და ჯარისკაცებისგან. ერთი რაზმი კერეჯის ხიდზე გაგზავნა კაზვინელ რევოლიუციონერების მოსაგერებლად, მეორე კუმის გზაზე ბახტიარების წინაალმდეგ; დანარჩენი ჯარი წავიდა სულთან-აბადში თვითონ შაჰის დასაცველად, ასე რომ ამ ჟამად თეირანში ჯარი აღარ დარჩა.

რევოლიუციონერებმა ფიცი დასდეს, რომ ხალხის ქონებას და სიცოცხლეს არას დავუშავებთო. სარდალ-ასადმა გამოაცხადა, რომ არაფრის გულისთვის აღარ ავიღებ ხელს შაჰის წინაალმდეგ ბრძოლაზეო.

თეირანში ჰფიქრობენ, რომ ამ ჟამად სპარსეთის ბედი დამოკიდებულია კაზვინზე, სადაც თავი მოიყარა რევოლიუციონერების ძალამ, რევოლიუციონერებს კაზვინში სხვა იარაღს გარდა აქვთ სამი ტყვიის მტყორცნელიც.

თეირანში გამოვიდა ახალი რევოლიუციონური გაზ. „ნეჯატ"-ი, რომელიც მკაცრად ჰგმობს შაჰის მოქმედებას.

**რუსის ჯარის მოქმედება.**

თბილისიდან ატყობინებენ „რუს. სლოვო"-ს. „კავკასიის ნამესტნიკმა მოხსენება მიიღო გენ. სნარსკის რაზმის მოქმედების შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჯულფა-თავრიზის გზაზე გენ. სნარსკის ბძანებით ყველა მგზავრს სჩხრეკენ, თვით სამხედრო ქარავნებსაც არ უშვებენ გაუჩხრეკავადაო. ხან და ხან ხალიჩებსა და წვრიმალ ნივთებს წაართმევენ ხოლმე. თვით აფიცრებსაც-კიო. ასეთი სასტიკი ღონისძიება ყველას აღელვებს.

გენ. სნარსკის ხელქვეითებზე საჩივარი შეიტანეს მუსულმანმა ვაჭრებმაც, რომლებიც უკვე მეორე თვეა საპატიმროში სხედან, არავინ იცის რა მიზეზით.

**რუსის ჯარი მალე დაბრუნდება თავრიზიდან:**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხსენება მოუვიდა თავრიზიდან: „რუსის ჯარის რიცხვი შეამცირეს, რადგან მან თავისი უმთავრესი დანიშნულება—ევროპიელთა უშიშროების უზრუნველყოფა—თითქმის შეასრულა. თავრიზიდან რუსეთში დაბრუნდა ორი როტა ქვეითა ჯარი და ერთი ბატარეია. ამ ჟამად ჩვენ ველით თავრიზის ახლად დანიშნულ გენერელ-გუბერნატორის ალა-დოულეს 350 ყაზახით მოსვლას. მის მოსვლის შემდეგ რუსის რაზმს რუსეთში დააბრუნებენ. ეხლანდელ გენერალ-გუბერნატორის ჯელალ-ულ-მულკს არავითარი ძალა არა აქვს და არავინ არ ემორჩილება."

**რუსი ყაზახების გაგზავნა ურმიაში.**

გენ. სნარსკიმ 40 ყაზახი გაგზავნა ურმიაში.

**კაზვინის ენჯუმენის საჩივარი.**

კაზვინის ენჯუმენმა დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავსმჯდომარეს ხომიაკოვს და კადეტების მეთაურს მილიუკოვს: ენჯუმენი უჩივის გენ. სნარსკის, იგი სპარსეთის ყოველნაირ შინაურ საქმეში ერევაო.

სხვათა შორის რუსეთმა მოითხოვა თურმე რეშტის გუბერნატორის სეპეხდარის გადაყენება. ეს რომ გაიგო, სეპეხდარს ეთქვა: „ვფიცავ ალლახსა, რომ ჩემის თანამდებობიდან არ გადავდგებიო."

**სპარსეთის სამინისტრო რუსეთის პასუხს მოელის.**

როგორც ვიცით, სპარსეთის სამინისტრომ ნოტით მოსთხოვა რუსეთის მთავრობას ჯარის გაყვანა სპარსეთიდან. სამინისტრო თურმე გულის ფანცქალით მოელის რუსეთის პასუხს, რადგან თუ ვინიცობაა რუსეთი უარს ეტყვის ჯარის გაყვანაზე, სამინისტრო აღელვებულ ხალხს ველარ გაუძლებს და იძულებული იქნება თანამდებობიდან გადადგეს.

**სეპეხდარი თავრიზის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს.**

ადერბეიჯანის მცხოვრებთა მოთხოვნილებით შინაგან საქმეთა მინისტრმა სეპეხდარს შესთავაზა თავრიზის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა. ამასთანავე გამოუცხადა, რომ შაჰი და მთავრობა ულაპარაკოდ სთანხმდებიან იმ პირობებს, რომლებიც წარმოადგინეს თავრიზის და კაზვინის ენჯუმენებმაო.

**სათარ-ხანის თხოვნა.**

სათარ-ხანმა სთხოვა სეპეხდარს, იშუამდგომლეთ, რომ რუსეთის მთავრობამ გააუქმოს ის განკარგულება, რომლის თანახმად 22 ათასი თუმანი უნდა გადახდეს თავრიზ-ჯულფის გზის სასარგებლოდო. სეპეხდარი დაჰპირდა, მაგ თხოვნას უთუოდ შევასრულებო.

**ფულის შეკრება ენჯუმენების სასარგებლოდ.**

კაზვინის ენჯუმენმა დეპეშა მიიღო თავრიზის ენჯუმენისგან, რომ დაზარალებულ ენჯუმენების სასარგებლოდ უკვე 10,000 თუმანი შევკრიბეო.

**რუსის კონსულის მუქარა.**

რუსის კონსულმა კაზვინში მოსთხოვა კაზვინის ენჯუმენს, სამის დღის განმავლობაში დაითხოვეთ ყველა რევოლიუციონური მუშტეიდი, რომლებიც წმიდა ომს ქადაგებენ რუსეთის წინაალმდეგ, თორემ რუსის ჯარი შემოვა გილანშიო (კაზვინი და რეშტი გილანის პროვინციაში მდებარეობენ). ამ ამბავმა მეტად აალელვა კაზვინელები.

**100 ყაზახის გაგზავნა ქილაქ არდებილში.**

„ბაქუ"-ს ატყობინებენ განჯიდან, აქედან 100 ყაზახსა ჰგზავნიან სპარსეთში, ქალ. არდებილში.

**თეირანზე გალაშქრება.**

თეირანში ცნობა მიიღეს, რომ ბახტიარები განაგრძობენ თეირანზე გალაშქრებასო. სარდალ ასადს მიემხრო შეიხი მაზარდი 3 ათას ცხენოსნითა. მათი შეერთებული ჯარი ქალ. კუმში შევიდა.

**გერმანიისა და რუსეთის მოლაპარაკება სპარსეთის საქმეებზე**

უცხოეთის გაზეთებს შეუტყვია, რომ იმპერატორების შეხვედრის დროს ფინლანდიის შხერებში, გერმანიის და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრებმა: ფონ-შენმა და იზვოლსკიმ ხანგრძლივი თათბირი გამართეს სხვა და სხვა საერთაშორისო დიპლომატიურ საქმეებზე და სხვათა შორის სპარსეთის საქმეებზედაც. რუსულ გაზ. „სლოვო"-ს შეუტყვია, რომ გერმანიამ რუსეთს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა სპარსეთშიო, ესე იგი გამოუცხადა, როგორც გერჩიოს ისე მოიქეცი სპარსეთში, მე ხელს არ შეგიშლიო.

გაზ. „რუსკოე სლოვო" დარწმუნებულია, რომ იმპერატორების შეხვედრას სულაც არ შეურყევია და არ დაუსუსტებია ინგლის-რუსეთის შეთანხმება. ამ აზრის სიმართლეს ცხადათ ამტკიცებს ის გარემოება, რომ სწორედ იმპერატორების შეხვედრის მეორე დღეს რუსის ჯარის ნაწილი გამოვიდა თავრიზიდან და რუსეთის ს მფლობელოსკენ გამოემართაო. მართალია ჯერ მხოლოდ ერთი ბატარეია და 2 როტა (სულ 600 ჯარის კაცამდე) დაბრუნდა რუსეთში, მაგრამ ამ ნაწილს დანარჩენი ჯარიც მოჰყვება და გენ. სნარსკის მთელი რაზმი მალე დაბრუნდება რუსეთშიო. როცა რუსის ჯარი სპარსეთში შევიდა, იზვოლსკი დაჰპირდა ინგლისს, 1 ივნისამდე უთუოდ გამოვიყვანთ ჯარსაო და ეხლა როგორც სჩანს, რუსეთის მთავრობა უკვე შეუდგა ამ პირობის ასრულებასო.

## „განათლების" საზოგადოების კრება

ყვირას, 14 ივნისს, სამეურნეო ბანკის სადგომში მოხდა „განათლების" საზოგადოების წლიური კრება. მოისმინეს სკოლის წლიური ანგარიში, კანონიერს საგარეო ხარჯთ-აღრიცხვა, აირჩიეს გამგეობის წევრნი და სხვა. როგორც გამოირკვა, ჩაზოგადოების ქონება კერძო პირებისა და საზოგადო დაწესებულებათა შემოწირულებაზე ყოფილა დამყარებული. სწავლის ფული თითქმის 900 მანეთამდის შესულა. რე ქალაქის გამგეობა ყოველ წლივ აძლევს 200 მ. სამეურნეო ბანკი—100 მანეთს, სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული—200 მანეთს. ყოველ წლივ იმართება ხოლმე საღამოები და სადამეები, აქედან საზოგადოებას 1300 მანეთამდის რჩება. ერთის სიტყვით, საქმე საქველ-მოქმედო ნიადაგზე ყოფილა დაყენებული.

წაიკითხეს საგარეო აღრიცხვა. შემოსავლით სკოლის შესანახად და ყველა ხარჯის დასაფარავად საჭირო ყოფილა 3899 მ. ხოლო შემოსავალს მოელიან 3450 მ., ე. ი. საზოგადოებას მომავალ წლისთვის დეფიციტი ექმნება 450 მანეთამდის. კრებაზე გამოირკვა, რომ საზოგადოებას მეტად ცოტა წევრები ჰყოლია. სულ 50 კაცამდის. კრებამ დაავალა გამგეობას, ყოველნაირი ღონე იხმაროს რომ რაც შეიძლება მეტი წევრი შეიძინოს.

კრება შეეხო სკოლის ანგარიშს, შენიშნეს, რომ ანგარიშები წესიერად არ არის შედგენილიო. სთქვეს აგრეთვე, კარგი იყო საზოგადოების წევრთ გაეგოთ, როგორ არის დაყენებული სწავლების საქმე სკოლაში: რამდენი მოსწავლეა, როგორ მეუთვისებიათ სწავლა, დაიარებოდნენ თუ არა ყოველთვის გაკვეთილებზე და სხვა. ამ სასწავლებელში სწავლა ქართულად ყოფილა. სკოლაში დიდი ყურადღება მიუქცევიათ ხელსაქმის სწავლებისათვის, მაგრამ როგორც ერთმა მასწავლებელთაგანმა განაცხადა, მეტად ცოტა დრო ჰქონია დათმობილი ხელსაქმეს, გამგეობას აზრადა ჰქონია, დაარსოს ხელსაქმის შესასწავლად პროფესიონალური სასწავლებელი, სადაც მიიღებიან სკოლაში კურს დამთავრებული ქალები. ამის შესახებ ორატორებმა შენიშნეს, რომ ასეთ დიდ მნიშვნელოვან საქმის გამოყოფა და კერძო სკოლის დაარსება საჭირო არ არისო. საჭიროა ეხლავე, პატარაობიდანვე ხელსაქმის სწავლება კარგა დააყენოს და თვით სკოლას ისეთი ხასიათი მისცენ, რომ კურს დამთავრებულმა ქალებმა ხელსაქმე იცოდნენ. ილაპარაკეს იმაზედაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის პროფესიონალურ ხასიათის სკოლებს, საზოგადოთ, და, კერძოდ, ქალთათვის.

შეიტანეს წინადადება, რომ ყოველ წლივ გაიმართოს ხოლმე მოსწავლეთა ნაწარმოების გამოფენა. კრებამ ეს სასურველად სცნო. იქონიეს მსჯელობა ბინის შესახებაც. ეხლანდელი ბინა სკოლისა ბანკს ეკუთვნის, საზოგადოებას თავის სახელზე გადმოუწერნა ეს შენობა, მაგრამ ვალი კი ჯერ არ გაუსტუმრებია, თურმე ნაღდრიცხვებია დარჩენილი. კრებამ დაავალა გამგეობას, იშუამდგომლოს ბანკის წინაშე ნაღდიმკების პატიების შესახებ.

ამის შემდეგ კრებამ მიიღო ახალი წევრები და შეუდგა გამგეობის წევრთა არჩევას. გამგეობაში იყვნენ: თავმჯდომარედ—ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა, ამხანაგად კნ. ნინო ბარათაშვილისა, წევრებად: ეკ. მესხიალექსანდრა ფაღავა, ანნა იაკ. პავლიაშვილისა, მიქაბერიძე და ნინო ერისთავის ქალი. ხაზინადრად იყო გ. ნათაძე რადგან მან თავი დაანება, აირჩიეს ქ-ნი პ. ქურდიანისა. კრებამ მადლობა გამოუცხადა: ეკ. ივ. სარაჯიშვილისას, რომელიც ეს მეორე წელიწადია ყოველწლივ 200 მანეთს სწირავს საზოგადოებას, ექიმ მარიამ იოსელიანს—მოსწავლეთა უსასყიდლოდ წამლობისთვის; ქ-ნ ხალიძე სულხანიშვილს და სმირნოვის ქალს, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ასწავლიდნენ საგნებს: პირველი—ხატვას, ხოლო მეორე—გეოგრაფიას. მადლობა გამოუცხადეს ქ-ნ ელისაბედ ყაზბეგისას, რომელმაც შესწირა ჩულქის საქსოვი მანქანა.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

აბრეშუმის პარკისა და ძაფის ფასების შესახებ მსოფლიო ბაზარზე შემდეგს იუწყებიან უცხოეთიდან:

რადგან ევროპასა და ჩინეთ-იაპონიაში პარკის მოსავალს კარგი პირი უჩანს (ერთი-ოთხად უფრო მეტს მოელიან, ვიდრე შარშან იყო) და ამერიკამაც შესწყვიტა აბრეშუმის ძაფის გამოწერა ევროპიდან, ფასები მსოფლიო ბაზარზე დაეცა. როგორც გამოირკვა, ამერიკა, რომელიც უმთავრესი მომხმარებელია ევროპაში დამუშავებულ ძაფისა, პირდაპირ უკვეთავს ნედლ მასალას ჩინეთ-იაპონიას, სადაც ამ უკანასკნელ ხანებში ისე გააუმჯობესეს ტეხნიკა ძაფის ამოღებისა, რომ ლიონისა და მილანის საბრეშუმო ქარხნების ტეხნიკას არ ჩამოუვარდება. ეს გარემოება ძლიერ შეაფერხებს ევროპის წარმოებას და აბრეშუმის მრეწველობას. დღემდე მილანისა და ლიონის ქარხნები იყვნენ დამმუშავებელნი თითქმის ყველა საბრეშუმო ქვეყანაში მოწეულ პარკისა, რის გამოც მილანი, ლიონი და მარსელი წარმოადგენდნენ მეაბრეშუმეობის ნაწარმოების მსოფლიო ბაზარს.

პარკის კარგი მოსავალია წელს აგრეთვე საფრანგეთში, იტალიაში, ოსმალეთში (სალონიკსა, ბრუსსაში), ბუხარაში, და ამიერ-კავკასიაშიაც. მართალია, ჩვენში გაზაფხულზე თესლის შეძენის ცუდს პირობებს რომ არ შეეშალა ხელი, წელს პარკის დიდი მოსავალი იქნებოდა, რადგან აპრილსა და მაისში კარგი ამინდები იყო ჭიის გამოსაკვებად. დასავლეთ-საქართველოს ზოგიერთ მაზრაში უკვე გაიხსნა პარკის ბაზრები. ჯერ-ჯერობით საშუალო ფასი 12—13 მანეთია. ამბობენ, 14 მანეთსაც იძლევენ ფუთში.

მეურნე.

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

ილიას ფონდის სასარგებლოდ განჯელმა ქართველებმა შესწირეს 453 მან. 74 კაპ. შემომწირველთა სია: ამბოკაძე ანდრია 20 მ., ასანიძე დიმიტრი 6 მ., ალექსიძე ნინო 50 კ., აფხაზიანი მიხეილ 9 მ. 50 კ., გვერწითელი პლატონ 120 მ., ვეზირიშვილი ირაკლი 4 მ. 50 კ., ზედგინიძე მიხეილ 22 მ. 50 კაპ., ივანოვისა 1 მ., იორდანოვი 65 კ., თოფურიძე კლიმენტი 12 მ. 40 კ., ლორთქიფანიძე იოსებ 26 მ., მაჩაბელი სოლომონ 21 მ. 50 კ., მჭედლოვი ნიკოლოზ 12 მ., მუხრანსკისა სოფიო 15 მ., კვახაძე 2 მ., კანდელაკი ნიკოლოზ 4 მ. 80 კ., კვიტაშვილი გიორგი 6 მ., კობიაშვილი მიხეილ 10 მ., კებურია 1 მ. 40 კ., ოდიშარია 3 მ., 40 კ., სუხიაშვილი კონსტანტინე 21 მ., სარაჯიშვილი მიხეილ 26 მ., სარაჯიშვილი პეტრე 40 კ., ხარაძე ლუკა და ტრიფონ 33 მ., ხარაზოვისა ელენე 3 მ., ფურცელაძისა ქეთევან 30 კ. წულუკიძე ვარდენ 13 მ., წულუკიძე ივანე 6 მ., შავლაძე კონსტანტინე 15 მ., შიუკაშვილი 4 მ., ჩარკვიანი პეტრე 6 მ., ჩიჯავაძე 10 მ., ჩოლაყაშვილი ნინო 90 კ., ცხომელიძე 2 მ., ქიქოძე ნინო 1 მ., ესტატეშვილი 3 მან., ხატარაშვილი მიხეილ 10 მ.

სულ 453 მან. 75 კ. ხარჯი: ფოსტის მარკები, ვოგზალზე მისვლა-მოსვლა, ფულის გამოსაგზავნი 2 მ. 51 კ. დარჩა 451 მ. 24 კ., რომელიც გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებას.

## რუსეთი

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მეთაურები.** „ნოვოე ვრემია" სწერს, გამომძიებელმა ტოლსტოვსკიმ გამოიძია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მეთაურების საქმე და აღმოჩნდა, რომ პრუსაკოვის ბრალდებებს საფუძველი არა აქვთ. ამიტომ «კავშირის» მეთაურებს სამართალში აღარ მისცემენ.

✦ **იუშკევიჩ-კრასკოვსკი.** როგორც ვიცით, უკვე დააპატიმრეს იუშკევიჩ-კრასკოვსკი, რომელსაც გერცენშტეინის მკვლელობის მოწყობა ბრალდება. იუშკევიჩ-კრასკოვსკის „რუსკ. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: მეკითხებით პეტერბურგიდან რათ წაველი. როდესაც ფინლიანდიის სასამართლომ დაიწყო გერცენშტეინის მკვლელის საქმის გარჩევა, „კავშირის" მეთაურებმა გადასწყვიტეს იმ დრომდის, სანამ ეს «ცილის-წამება» გამოირკვეოდეს, სხვაგან წავსულიყავი, რადგან არ გვინდოდა, რომ რევოლიუციონურ ფინლიანდიის სასამართლოს, რომელსაც ყოველივე რუსული სძულს, სასაცილოდ გავმხდარიყავით. ამ დროს დუბროვინს და ზოგიერთ მეთაურებს უნდა მიეღოთ ზომები „ცილის-წამების" გასაქარწყლებლად. ჩვენ წავედით, მაგრამ დუბროვინმა და სხვებმა არაფერი არ გააკეთეს. მე გადავწყვიტე ბოიკოტის დადება, ოღონდ კი სიმართლე გამორკვეულიყო. ამ მიზნით პეტერბურგშიაც ჩამოვედი, მაგრამ დუბროვინმა არ მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება, პეტერბურგიდან წასვლა მირჩია, ყველაფერი გაკეთდებაო. მე დუბროვინის სიტყვა დავიჯერე. რომ მე გერცენშტეინის მკვლელის მოწყობას მაწერენ, «ცილის-წამებაა» ამ ცილის-წამებაში ბრალი უდევს რევოლიუციონერების გარდა, დუბროვინსაც. ამ უკანასკნელს, რომ მოენდომა ეს «ცილის-წამება» გაბათილდებოდა. იუშკევიჩ-კრასკოვსკის ხელმ. მასლიანიკამ კონსტანტინოვის გვარით უცნობრია. ამას იმით ხსნის იუშკევიჩ-კრასკოვსკი, რომ არ მინდოდა ჩემი გვარი გამომეცხადებინა, რადგან რევოლიუციონერებისა მეშინოდაო.

✦ **სამღვდელოება და კრემატორიები (მიცვალებულების დაწვა).** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც რუსეთში კრემატორიები უნდა დაარსდეს. «რუს. ვედ.» სიტყვით სამღვდელოება ძალიან უკმაყოფილო დარჩენილა ამ კანონპროექტით. მათის სიტყვით მიცვალებულის დაწვა სარწმუნოების და კერძოდ მიცვალებულთა აღდგომის წინააღმდეგია მიცვალებულების დაწვა გამოიწვევს მართლმადიდებელ ეკლესიის შესუსტებას რადგან ბევრი წინააღმდეგი იქნება კრემატორიებისა და ცალკე ხმქტებს მეადგენენ

✦ **პეტერბურგის უნივერსიტეტის შუამდგომლობის ბედი.** ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგის უნივერსიტეტის საფილოლოგიო-საისტორიო ფაკულტეტმა შუამდგომლობა აღძრა, სემინარიების 4 კლას კურს დამთავრებულებს ნება დართოთ საფილოლოგიო-საისტორიო ფაკულტეტებზე გამოუცდელად მიეღონო. «რუსკ. ვედ.» სიტყვით ფაკულტეტის ეს შუამდგომლობა წრეულს ვერ გადასწყდება. ამავე ფაკულტეტმა იშუამდგომლა, რომ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტებს ნება მიეცეთ სხვა უნივერსიტეტებში გადავიდნენ. ამაზე ფაკულტეტს უარი ეთქვა, რადგან ეს შუამდგომლობა, ვარშავის უნივერსიტეტის დაცლა იქნება და დაცარიელებული დაიცლებაო.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ; კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—107)

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ: ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს, ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინ" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქ. საწყობში კოჩინევისა, ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ან.—

**ბაღი-რესტორანი**

**◀ ამხანაგობის ▶**

**„იუჟანი"-ში**

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დილით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ ფარ სახმელ ხასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
ტელეფონъ N 233. (50—გაყ.—7)

**ბორჯომ—აბასთუმანი**

ამით ეუწყა იმათ, ვინც აბასთუმანს მიდიან, რომ საფოსტო სადგურზე ბორჯომში არის მრავლად სხვა და სხვა ეტლი: 2, 3 და 4 ადგილიანი „ფაეტონები", ლანდო, 4 და 6 ადგილიანი დახურული ეტლები, 2 და 3 ადგილიანი კარეტები, აგრეთვე დიდი ფურგონები ნივთებისთვის. ეტლების მიმოსვლა სწრაფი და უკეთესი. ყოველ დღე დილ-დილით გადის ვადიანი ომნიბუსები. ვინც ეტლს დაიჭერს დაიხვედრებენ მათ. ეტლები შესვლისათანავე აჰყავთ. დაწვრილებითი ცნობების გაგება 1 ივლისამდე ტფილისში, ბაქოს ქ., N 7. ხოლო ბორჯომში საფოსტო სადგურზე.

(6—1000—5)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე**. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—15)



რედაქტორ-გამომცემელი მ. ს. აგლაძე.